ჩვენ და პანდემია... გვ. 2

დამატებითი რეგულაციები საარჩევნო რეალობაში... გვ.2

მთავარი თემა სამეგრელოში

ფასი 1 ლარი | №15 | 25 – 31 ოქტომბერი 2020 წელი | გამოდის სამშაბათობი

,,შეჩვეული ჭირი,, თუ კარგად დავიწყებული ძველი...(?!) 31 ოქტომბერი არჩევნების დღეა გვ. 3

თემურ წურწუმია: ,,ვინც გაიმარჯვებს, ვუსურვებ, ფოთის, ხობისა და სენაკის საკეთილდღეო საქმეები ეკეთებინოს... გვ. 3

ლევან მარტიაშვილი: ,,ჩემი უპირველესი მიზანი კი სამართლიანი სასამართლო იქნება.... გვ. 4

ფოთის თეატრის შენობა – ქალაქის აქილევსის ქუსლი.... გვ. 5

დადის თუ არა კოვიდი ,,მარშრუტკით,, გვ. 5

ყოფილი ჰიდრო ტექნიკუმის მეორე სიცოცხლე....... გვ. 6

შენ ჯერ ეგ არ გინახავს?



აქ გვიპოვი ჩვენ
www.msnews.ge

პოლიტიკური პარტიის წარმომადგენლები საარჩევნო გარემოს შესახებ...

ივეტა პაჭკორია
ფოთი

2020 წლის საპარლამენტო არჩევნებს საქართველოს საკანონმდებლო ორგანო ახალ ფაზაში გადაყავს. თუმცა, ამას არ შეუცვლია პოლიტიკოსების მიდგომა ერთმანეთის მიმართ. გასული წლების არჩევნებს თუ გადავხედავთ, წლევანდელი საარჩევნო გარემო მეტი აგრესიულობით გამოირჩევა, აგრესიულობის ერთ-ერთი უცვლელი გამოხატვაა პლაკატების ჩამოხევა, მისი საღებავით შეღებვა. პლაკატებისა და ბილბორდის დაზიანებას მდაბიო საქციელად აფასებს პოლიტიკურ არენაზე, მაჟორიტარობის დამოუკიდებელ კანდიდატად დაბრუნებული დავით სარსანია: ,,ასეთი ფაქტი პირველი არ არის, ადგილი ქონდა ბანერის დაზიანებასაც. აღნიშნულ ფაქტთან დაკავშირებით მივმართე სახალხო დამცველის აპარატს, არასამთავრობო ორგანიზაციებს და ვაპირებ მივმართო სამართალდამცავ ორგანოებსაც”.

,,პოლიტიკურად გაზრდის“ აუცილებლობაზე საუბრობს ,,თავისუფალი საქართველო (კახა კუკავა, გიორგი წულაია)“-ფოთში, ხობსა და სენაკში მაჟორიტარი დეპუტატობის კანდიდატი თამარ ფაჩულია: ,,აუცილებელია, ფოთის მუნიციპალიტეტის და პოლიციელების მჭიდრო თანამშრომლობა კონკრეტული პირების გამოსავლენად. ვინც იცის, დამეთანხმება, რამდენად ძნელია ამ პლაკატების გაკვრა. ამიტომ არავის არ აქვს უფლება, ჩამოხიოს ან გადააკრას თავისი პარტიის წარმომადგენლის პლაკატი. ვფიქრობ, ეს არის პოლიტიკური კულტურის უქონლობა. საჭიროა ერთხელ და სამუდამოდ გავიზარდოთ და მერე შევიდეთ პარლამენტში“.

საარჩევნო გარემოს უარყოფითად აფასებს ,,ბეჟან გუნავა - ქართული არჩევანი“-ფოთში, ხობსა და სენაკში, მაჟორიტარობის კანდიდატი ლევან მარტიაშვილი: ,,ელემენტარულად, პლაკატების ჩამოხევა ყველაზე დიდი მინუსია ქართველებისათვის. ადამიანი ვინც ამას ავალებს, არის ბოროტი. ეს ნიშნავს, რომ სხვას არ სცემ პატივს, ამ დონემდე გაბოროტებული ადამიანი ხელისუფლებაში რომ მოვა, რას იზამს? როდესაც თავად ვაკრავ, თუ ადგილი არ არის, ზემოთაც არასოდეს გავაკრავ. ანალოგიურად მოვუწოდებ ჩემი პარტიის წევრებსაც.

გადასატან ყუთებთან დაკავშირებულ ლაფსუსებზე საუბრობს ნაციონალური მოძრაობის ფოთის საქალაქო ორგანიზაციის თავმჯდომარე დარეჯან ცხვიტარია: ,,ხელისუფლებას სხვა გზა არ აქვს დარჩენილი, რომ არ გააყალბოს არჩევნები, იცის რომ დიდი სხვაობით აგებენ ჩვენთან. მთელ სამეგრელოში ვიგებთ და ფოთი გამონაკლისი რატომ უნდა იყოს? ,,ქართული ოცნება“ ყველას ყელში აქვს ამოსული. გადასატან ყუთებში ჯანმრთელი ადამიანი უწერიათ, რათა სახლშიც მიაცემინონ ხმა და საარჩევნო უბანშიც, მაგრამ არ გამოუვათ. ერთ უბანზე 27, 14, 15 ჯანმრთელი წევრი წერია. კოვიდთან დაკავშირებითაც ბევრი ლაფსუსია, რადგან თვითიზოლაციაში მყოფი ადამიანები არსად არ ფიქსირდებიან. სადაც უნდა რეკავდნენ, სხვადასხვა ადგილას ამისამართებენ და საბოლოოდ ვერსად ვერ ფიქსირდება. ყველაზე თავგადაკრული ოცნების მომხრე დღეს ჩვენი მომხრეა და მსგავსი ბევრი მაგალითია”.

,,ლელო - მამუკა ხაზარაძე“ ფოთის საქალაქო ორგანიზაციის თავმჯდომარის მაია ჩხარტიშვილის განმარტებით კი, ,,ნამდვილად ვერ ვატყობ, რომ დემოკრატიული მიმართულებით მიდის საარჩევნო გარემო. იმიტომ, რომ ,,ქართული ოცნება” თანგანწირვით იბრძვის გადარჩენისათვის. საჯარო სამსახურში დაკავებული ადამიანები და ასევე კერძო სექტორში მომუშავეებიც სრულ ტერორში ყავთ, არ მახსოვს ვინმე კერო სექტორში მომუშავეს შეხებოდა, დღეს ესეც ხდება, ხალხს სამსახურის დაკარგვით აშინებენ. მინდა ვუთხრა მათ, რომ ისინი სრულიად თავისუფალნი არიან საარჩევნო ყუთთან და შიშის გარეშე გადაწყვიტონ მათი და მათი შვილების მომავალი”.

დამატებითი რეგულაციები საარჩევნო რეალობაში...

ნანუკა ქაჯაია
ფოთი

2020 წლის საპარლამენტო არჩევნები გარკვეული რეგულაციებითა და წესებით დაცვით გაიმართება, რადგან კოვიდ-19-მა არჩევნების ჩატარებაშიც შეიტანა ცვლილება და გარკვეულ ჩარჩოში მოაქცია. ქვეყანაში მძიმე ეპიდ ვითარების გამო არჩევნებისთვის, ცესკომ არჩევნებში ჩართულ მხარეებთან ერთად სტაციონარულ სამკურნალო დაწესებულებებში, კარანტინსა და თვითიზოლაციაში მყოფი ამომრჩევლებისთვის ხმის მიცემის წესები შეიმუშავა.

მათ განთავსების ადგილის მიხედვით სპეციალური ჯგუფები მოემსახურებიან.

თვითიზოლაციაში მყოფმა ამომრჩევლებმა, რომლებიც შესაბამისი უწყების მონაცემთა ბაზაში ოფიციალურად არიან დაფიქსირებული, არჩევნებში მონაწილეობის მიზნით გადასატანი საარჩევნო ყუთის მოთხოვნით 24-დან 26 ოქტომბრის ჩათვლით, 10:00-დან 22:00 საათამდე უნდა მიმართონ ცესკოს სატელეფონო/საინფორმაციო ცენტრს: 2 51 00 51 (0)

ხმის მიცემის პროცესში საარჩევნო ადმინისტრაციის მიერ სრულად იქნება დაცული სანიტარიულ-ჰიგიენური წესები.

ცესკო ასევე მოუწოდებს თითეულ ამომრჩეველს და ჩართულ მხარეებს დაიცვან პანდემიასთან დაკავშირებული ყველა წესი.

რაც შეეხება ცესკოს მონაცემებით სენაკი–ხობი–ფოთის 26–ე მაჟორიტალურ ოლქში დარეგისტრირებულია 108 321 ამომრჩეველი. 107 საარჩევნო უბნიდან 32 უბანი ფოთშია გახსნილი, 43 სენაკში და 32 ხობში.

რაც შეეხება მაჟორიტარობის კანდიდატებს, სულ 16 სუბიექტია დარეგისტრირებული, მათგან 2 საინიციატივო ჯგუფს წარმოადგენს.

ფოთის 70-ე საოლქო-საარჩევნო კომისიის თავმჯდომარე სალომე როდონაიას განცხადებით: „როგორც მთელ ქვეყანაში, ასევე საარჩევნო პროცესის მიმდინარეობის დროს იმოქმედებს დამატებითი რეგულაციები. აუცილებელია პირბადე, დეზობარიერი, სადეზინფექციო ხსნარით ხელების დამუშავება კი ყველასთვის აუცილებელი იქნება, რაც შეეხება კომისიის წევრებს, მათ უნდა ეკეთოთ ხელთათმანები და დამცავი ფარი. თერმოსქრინინგი მხოლოდ კომისიის წევრებსა და კენჭისყრის პროცესში მონაწილე პირებს ჩაუტარდებათ. ამომრჩევლებისათვის კი განკუთვნილი იქნება ინდივიდუალური კალმები, რომლებსაც ამომრჩეველი თავისი სურვილის მიხედვით ან ჩააგდებს სპეციალურ კონტეინერში ან წაიღებს თან".

საოლქო საარჩევნო კომიისის თავმჯდომარის თქმითვე, კომისიის წევრებისათვის ტრეინინგები 4 ეტაპად ჩატარდა. კოვიდ–19 –თან დაკავშირებით ცესკომ მიიღო 36–ე დადგენილება, რომელშიც ზუსტად არის გაწერილი ის წესები,რომლებიც უნდა დაიცვან კომისიის წევრებმა და არა მარტო მათ, არამედ საარჩევნო პროცესში მონაწილე ყველა პირმა„ „რეგულაციების დაცვასთან დაკავშირებით გვაქვს გამონაკლისი შემთხვევებიც. მაგალითად, თუ რომელიმე ამომრჩეველს აქვს რაიმე პრობლემა პირბადის ტარებასთან დაკავშირებით, მან უნდა წარმოადგინოს შესაბამისი ცნობა, მხოლოდ ამ შემთხვევაში დაიშვება ამომრჩეველი პირბადის გარეშე. სხვა შემთხვევაში კი ნებისმიერ პირს მოეთხოვება პირბადე. რაც შეეხება გამოყენებულ პირბადესა და სხვა ნარჩენებს, ამისათვის ყველა ოლქს ეყოლება დამლაგებელი, რომელიც გადაყრის მათ სპეციალური კონტეინერებით. აუცილებელია ოთახის განიავება, დადგენილებით ყოველ 3 საათში უნდა მოხდეს კენჭისყრის ოთახის განიავება, თუმცა საჭიროების შემთხვევაში, უფრო მოკლე ინტერვალითაც შეიძლება განიავდეს ოთახები. ასევე აუცილებელია ზედაპირების ხშირი გადაწმენდა სადეზინფექციო ხსნარით, რომელიც კომისიის წევრებს ექნებათ მაგიდაზე".

აქვე მოყვანილია კანდიდატთა სია:

№2 „ბაქრაძე, უგულავა, ბოკერია - ევროპული საქართველო - მოძრაობა თავისუფლებისთვის" - გიორგი ბოკერია

№5 საარჩევნო ბლოკი „ერთიანი ნაციონალური მოძრაობა - გაერთიანებული ოპოზიცია „ძალა ერთობაშია" - მურთაზ ზოდელავა

№8 „დავით თარხან-მოურავი, ირმა ინაშვილი - საქართველოს პატრიოტთა ალიანსი" -თეიმურაზ ფაჩულია

№14„ბეჟან გუნავა - ქართული არჩევანი"- ლევან მარტიაშვილი

№19 მოქალაქეთა პოლიტიკური გაერთიანება „ჩვენი საქართველო - სოლიდარობის ალიანსი"- ირაკლი ბერაია

№20 „საქართველო" -დავით დავითაია

№21 „თავისუფალი საქართველო (კახა კუკავა, გიორგი წულაია)"- თამარ ფაჩულია

№ 30 შეცვალე საქართველო – მზია თამაზაშვილი

№36 გირჩი - ბორის ყურუა

№41 ქართული ოცნება - დემოკრატიული საქართველო- ირაკლი ხახუბია

№44 „ლევან ჩაჩუა, გურამ ფალავანდიშვილი - ქართული იდეა"- გიორგი გახოკიძე

№47 „ზვიად ძიძიგური - საქართველოს კონსერვატიული პარტია"- თეიმურაზ წურწუმია

№50 „პროგრესული საქართველო"-

ზაალ დავითაია

№56 „ლელო - მამუკა ხაზარაძე"- გიორგი ბარამია

№61 საინიციატივო ჯგუფი - 0. პაატა ჩაგანავა, ირაკლი ხვიჩავა, დავითი ჯიქია, მერაბი სიმონია, დავით ბასილაია - დათო სარსანია

№ 62 საინიციატივო ჯგუფი - 0. ირაკლი კუპრეიშვილი, გიორგი ლაკია, ნოდარ ადამია, გურანდა ოდიშარია, გულიზა ჯობავა - აპოლონ გარუჩავა

ველოდები, თუ საყიდელი თანხა არ მაქვს, ვითხოვ და წავიკითხავ. გაზეთის კითხვა ეს ყოველდღიურობა უნდა იყოს და ვისაც შეუძლია, გამოწერილიც უნდა ქონდეს. თუ ჩემნაირი ვერ გამოიწერს, ბიზნესმენების და საწარმოების მეტი რა არის? ეს უნდა იყოს მათი არა მარტო კორპორატიული პასუხისმგებლობა, არამედ აუცილებლობა, რათა თვალი ადევნონ მათ ქალაქში მიმდინარე მოვლენებს და თან ხელი შეუწყონ გაზეთის არსებობას და მის განვითარებას. ვიცი, რომ დამოუკიდებელ გაზეთებს რეგიონებში უჭირთ არსებობა და რა მოხდება, თუ ბიზნესმენები გამოიწერენ რამდენიმე ცალს და დაეხმარებიან გაზეთს? არც არაფერი, მაგრამ ადამიანებს უკვე ყველაფერი არაფრად მიაჩნიათ".

ჩვენ და პანდემია...

თეკლე მატკავა
ფოთი

ბოლო თვეებია, მთლიანი სამყარო უჩვეულო სიტუაციის მომსწრეა. ერთ დღეს, უწყინარი სახელის მატარებელმა კორონა ვირუსმა სრულიად სამყარო შეცვალა. ჩინეთიდან გავრცელებულმა სასიკვდილო ვირუსმა ცხოვრების რეჟიმი შეუცვალა მილიარდობით ადამიანს და თვალის დახამხამებაში გავრცელდა მთელს დედამიწაზე. თუმცა, როგორც იტყვიან, „ზოგი ჭირი მარგებელიაო", დედამიწამ დაისვენა ზედმეტი ხმაურისგან, ეკოლოგიაც საგრძნობლად გაჯანსაღდა. სამაგიეროდ, ეკონომიკამ იწყო კვდომა და ქვეყნები იძულებულნი გახდნენ, ისევ აქტიურ ცხოვრებას დაბრუნებოდნენ. თავის მხრივ ვირუსმაც, ასე არ უნდაო და მუტაცია განიცადა, უფრო საშიშიც კი გახდა, მაგრამ ექიმებმა ისწავლეს მასთან ბრძოლა, თუმცა ყველა ქვეყანაში ისევ ამოქმედდა შეზღუდვები. ერთი სიტყვით, ლამის მძაფრსიუჟეტიანი ფილმის გმირები გავხდით.

ფოთი მთელი ამ პანდემიის განმავლობაში მწვანე ზონად რჩებოდა, ქალაქის ორივე მხრიდან შემოსასვლელში მოწყობილი იყო ცხელების ცენტრები, სადაც მსახურობდნენ ჯარისკაცები და სამხედრო ექიმები. ფოთში დღემდე არაერთი სოციალური აქტივობა ჩატარდა სხვადასხვა არასამთავრობო ორგანიზაციების მხრიდან და შეჭირვებულ მოსახლეობას სურსათი– სანოვაგე მიაწოდეს, ამ მხრივ, ადგილობრივმა ხელისუფლებამაც აქტიურობა გამოიჩინა. საქართველოს მთავრობამ მთელი როგი ღონისძიებები გაატარა კორონავირუსით გამოწვეულ კრიზისთან საბრძოლველად, იქნებოდა ეს მთელი კარანტინის განმავლობაში კომუნალური გადასახადების გადახდა თუ ყველა სამსახურდაკარგულ ადამიანზე კომპენსაციების გაცემა. 1 სექტემბრიდან 15 სექტემბრის ჩათვლით 200 ლარიანი დახმარება მისცეს 18 წლამდე ბავშვებსაც.

მსოფლიოში შემუშავდა სლოგანები " დარჩი სახლში", " ატარე პირბადე", „გაუფრთხილდი სხვას " და ა.შ.

მსოფლიოში უამრავი გარდაცვლილი ადამიანის და ასეთი გართულებული მდგომარეობის მიუხედავად მოსახლეობის შეფასებები და მიდგომები კი არაერთგვაროვანი გახლდათ და ახლაც ასეა. ზოგი თვლის, რომ კორონა ვირუსი არ არსებობს, ზოგი პირიქით, პანიკაშია და ზედმეტად ფრთხილობს. ეპიდემიოლეგები მთელი ამ ხნის განმავლობაში მოგვიწოდებენ, რომ ხშირად დავიბანოთ ხელები, გავუფრთხილდეთ ერთმანეთის ჯანმრთელობას და სიცოცხლეს, საჯარო სივრცეში ვატაროთ პირბადე და დავიცვათ დისტანცია.

როგორც აღვნიშნეთ, ფოთი გარკვეული ხანი მწვანე ზონა გახლდათ, ანუ აქ დაავადების არც ერთი შემთხვევა არ დაფიქსირებულა. ამჯამად კი, ელვის უსწრაფესად ვრცელდება და რამდენიმე სკოლაც ონლაინ სწავლებაზეა გადასული. ინფიცირება სამკერვალო ფაბრიკა " ტექსტილიდან" გავრცელდა. ინფიცირების მაჩვენებელი მზარდია და ამიტომ შესაძლებელია კომენდატის საათის გამოცხადებაც გახდეს აუცილებელი, როგორც ევროპის სხვადასხვა დიდ ქალაქებში. თუმცა, ხელისუფლება ჯერჯერობით მსგავს რამეს არ გეგმავს.

მოსახლეობის მოსაზრებებზე ზემოთაც აღვნიშნეთ. ადამიანების გარკვეული ნაწილი სტატისტიკის ასე მძაფრ მატებას და დაავადების გამწვავებას არჩევნებს უკავშირებს. რა ხდება საზღვარგარეთის ქვეყნებში ამ მხრივ. " მთავარი თემა სამეგრელოში" დაუკავშირდა ქართველ ემიგრანტებს:

ინგა ჭითანავა. ესპანეთი, ბარსელონა. " ესპანეთში სიტუაცია მშვიდიაა, მაგრამ მარტის თვიდან პირბადე არ მოგვიხსნია არსად, გარდა სახლისა. ჯარიმებია დაწესებული, სულ ახლახან კაფე– ბარები დაკეტეს 15 დღით, სხვამხრივ გადაადგილება ჩვეულებრივ რეჟიმშია, ღმერთმა ნუ ქნას, რომ სახლში გამოგვკეტონ".

სალომე კარანაძე., საფრანგეთი. „ინფიცირებულთა ზუსტი რაოდენობა არ ვიცი, რადგან არავინ საუბრობს, პირბადე და სადეზინფექციო ხსნარი უცილებელია, როდესაც დაწესებულებაში ან ბარში თუ მაღაზიაში შედიხარ".

ნინი ჯაიანი. ამერიკა, ნიუ–იორკი. " ნიუ–იორკი ლიდერობს ამერიკაში, თუმცა კარანტინი ჯერჯერობით არ გვაქვს. სკოლა მხოლოდ ორი დღით მასპინძლობს ბავშვებს, დანარჩენი დღეები ონლაინ რეჟიმია. პირბადე და სკაფანდრი ახალი რეალობაა და ერთმანეთის ფობია უფრო დიდი ტრაგედიაა, ვიდრე ვირუსი".

სოფო კორტავა, გერმანია. " გერმანიაში მოქმედებს პირბადის გამოყენების აუცილებლობა, წინააღმდეგ შემთხვევაში დაკისრებულია საჯარიმო სანქციები. 23.:00 საათის შემდეგ ყველა რესტორანი და ბარი დაკეტილია".

ნატო მატკავა, თურქეთი, სტამბოლი. " აქ თითქმის მშვიდი ვითარებაა, თუმცა გარეთ ყველა პირბადით მოძრაობს. კვირაში ორი დღეს სკოლა ემსახურება ბავშვებს, დანარჩენი ონლაინ სწავლებაა.რაც შეეხება ბარ– რესტორნებს, ზოგი გვიანობამდე მუშობს, ზოგი ადრე იკეტება".

ქ.დ. ბელგია," ბელგიაში ბარები და რესტორნები დაკეტილია 4 კვირით. 19 ოქტომბრიდან 00:00 საათიდან 05:00 საათამდე კომენდატის საათია, 20:00 საათის შემდეგ ალკოჰოლის ყიდვა აკრძალულია. 2 კვირის განმავლობაში შეიძლება მოიწვიო 4 ერთიდაიგივე ადამიანი სახლში, რათქმაუნდა დისტანციის დაცვით, მერე შეიძლება ეს ადამიანები სხვებით ჩაანაცვლო, ისევ ორი კვირით. სამსახურები დისტანციურად მუშაობენ.

პირბადე და სადეზინფექციო საშუალებები ეს აუცილებელია".

თამთა ჩხეიძე, იტალია: „26 ოქტომბრიდან 23 ნოემბრამდე დაწესდა შეზღუდვები კაფე ბარებსა თუ რესტორნებში. 6 საათის შემდეგ გარეთ გასვლა იკრძალება. პირბადის გარეშე არ აგიშვებენ ავტობუსში ან მაღაზიაში".

იზოლდა გოგილავა, იტალია: „ჩვენს ქალაქში ისევ იმატა დაინფიცირებულთა რაოდენობამ და შესაბამისად, როგორც მთლიანად ქვეყანაში, აქაც შეზღუდვები ამოქმედდა. მაგალითად, პირბადის გარეშე გარეთ გასვლის შემთხვევაში 400 ევრო ჯარიმა ეკისრება მოქალაქეს".

აი. ასე გვიწევს გვიწევს უხილავ მტერთან თანაცხოვრება, როდის დამთავრდება პანდემია, არავინ იცის. ჩვენი ექიმები, რომლებმაც არნახული პროფესიონალიზმი გამოავლინეს, გვამშვიდებენ, რომ მალე დამთავრდება ეს ვირუსი და შვებით ამოვისუნთქებთ.

გამომცემელი და დირექტორი, მთავარი რედაქტორი
ინგა გვასალია - 599 341 417;
ingagvasalia@gmail.com
რედაქტორი
ივეტა პაჭკორია - 579 36 67 77

კორესპონდენტები:
ნანუკა ქაჯაია - 551 53 35 42
თეკლა მატკავა 592 19 95 99
ივეტა პაჭკორია (ხობი) 579 36 67 77

კორექტორი
მაია ჩხეიძე

გამოქვეყნებული მასალის შინაარსი შეიძლება არ ემთხვეოდეს რედაქციის თვალსაზრისს. სტატიის ავტორები თავად აგებენ პასუხს ინფორმაციის სიზუსტეზე.
რედაქციაში აუდიო მასალები ინახება ორი კვირის განმავლობაში, ამ ვადის გასვლის შემდეგ პრეტენზიები არ მიიღება.

გამოქვეყნებული მასალების გადაბეჭდვა რედაქციის ნებართვის გარეშე აკრძალულია.

„შეჩვეული ჭირი,,თუ კარგად დავიწყებული ძველი...(?!)

31 ოქტომბერი არჩევნების დღეა

თეკლე მატკავა
ფოთი

საქართველოს პარლამენტმა კონსტიტუციაში არჩევნებთან დაკავშირებით ცვლილებები შეიტანა, რაც არჩევნების ჩატარების წესს ცვლის და რომელი ცვლილების განხორციელებასაც წინ უძღოდა მთელი რიგი საპროტესტო გამოსვლები ოპოზიციური სპექტრის მრიდან. ზოგადად, 2020 წელი მსოფლიოსთვის გარდამტეხად შეიძლება ჩაითვალოს -სამყარო ებრძვის პანდემიას კოვიდ 19-ის სახით, თანაცხოვრობს ზოგადი რეგულაციებითა და აკრძალვებით, ამავდროულად აგრძელებს აქტიურ რეჟიმში ცხოვრებას. საქართველოშიც, გართულებული ეპიდემიოლოგიური ვითარების მიუხედავად, არჩევნები არ გადადებულა. პირიქით, აქტიურად მიმდინარეობს წინასაარჩევნო პროცესი, რომელიც განსხვავებული წესებითა და ცვლილებებით ხასიათდება, კერძოდ, გაერთიანდა სამაჟორიტარო ოლქები და თუ წინა წლებში მარტო ერთი ოლქის მაჟორიტარი დეპუტატის არჩევა უწევდა მოსახლეობას, ახლა, ჩვენს შემთხვევაში, სამი ქალაქის ფოთის, ხობის და სენაკის მაჟორიტარობის კანდიდატის არჩევა მოუწევს.

ყველა არჩევნების მსგავსად, წელსაც უხვად გვყავს საქართველოს პარლამენტის დეპუტატობის მსურველები. „მთავარი თემა სამეგრელოში" თვალს ადევნებს კანდიდატთა წინასაარჩევნო შეხვედრებს, მოვისმინეთ თითოეულის წინასაარჩევნო დაპირებები, შევხვდით და ვესაუბრეთ რამდენიმე მათგანს სამომავლო გეგმებსა თუ მათი განხორციელების საშუალებებზე. ჩვენთან შეხვედრა ვერ, ან არ მოახერხა ქართული ოცნების მაჟორიტარობის კანდიდატმა ირაკლი ხახუბაიამ, რომელმაც გადატვირთული წინასაარჩევნო გარემო მოიმიზეზა. ასევე არ შეგვხვდა ნაციონალური მოძრაობის მაჟორიტარობის კანდიდატი მურთაზ ზოდელავა და არც ევროპული საქართველოს მაჟორიტარობის კანდიდატმა გიგა ბოკერიამ ინება ჩვენთან შეხვედრა.

ჩვენ მხოლოდ ორ კანდიდატს ფოთის ყოფილ მერს, დავით სარსანიასა და „პატრიოტთა ალიანსის" კანდიდატს თემურ ფაჩულიას შევხდით და თითქმის ერთი და იგივე კითხვები დავუსვით.

კითხვები

-რამ გიბიძგათ არჩევნებში დამოუკიდებელ კანდიდატად მონაწილეობის მისაღებად და არჩევნებში გამარჯვების იმედი თუ გაქვთ?

-მოსახლეობა თითქმის არჩევნებიდან არჩევნების რეჟიმში ცხოვრობს. ფოთს ბევრი პოლიტიკოსი და მათი პათოსი ახსოვს, თუ რაოდენ მნიშვნელოვანი და საჭირო ქალაქია, რეალურად კი გვაქვს მძფრი კორუფცია, დაწყებული და შეჩერებული პროექტები, კორუმპირებული პოლიტიკოსები. ქალაქი, რეალურად, "არაშენდას" სტატუსს უფრო იმსახურებს, ვიდრე რამე პერსპექტიულის. საინტერესოა, თქვენი კონკრეტული ხედვა, როგორ უნდა ამოიყვანოთ ეს ქალაქი ამ მდგომარეობიდან და განვითარების საფეხურზე დააყენოთ...

--რატომ გადაწყვიტეთ დაბრუნებოდით ფოთს და პოლიტიკას ერთდროულად.

დავით სარსანია

-დამიჯერეთ, ამ არჩევნებზე ჩვენ კონკრეტულ სტერეოტიპს დავანგრევთ. ამის თქმის საფუძველს ხალხის განწყობა მაძლევს. რა თქმა უნდა, სიტუაცია რთულია, რადგან სამი ოლქია გაერთიანებული სენაკი, ხობი და ფოთი. ამ რაიონებში ძალიან ბევრი სოფელია. არეალი ფართოა, ამიტომ სულ კარდაკარის რეჟიმში გვიწევს მუშაობა. ძნელია ყველა ქუჩაზე მისვლა, თუმცა თითქმის ყველა სოფელში ვიყავით, მარტო ფოთი რომ ყოფილიყო, მარტივი იქნებოდა. რაც შეეხება ჩემს გადაწყვეტილებას, დავბრუნებოდი ჩემს ქალაქს და აქტიურ პოლიტიკას, მიმაღებინა ჩემი ქალაქის და ხალხის გაუსაძლისმა ყოფამ. ჩვენს ქალაქში ყველა ერთად ვთანხმდებით, რომ არსებული გარემო, მდგომარეობა, რაშიც გვამყოფებს ადგილობრივი მთავრობა, ბუნებრივია, შესაცვლელია. ჩვენ გვაგვაჩნია რესურსი, ეს ქალაქი განვავითაროთ და უფრო მიმზიდველი გავხადოთ.

-თქვენ იყავით ქალაქის მერი, მაგრამ თქვენი განცხადებით გადადექით. როგორ ან რატომ უნდა გენდოთ ისევ მოსახლეობა და რატომ არ იბრძოლეთ მაშინ თქვენი თანაქალაქელების საკეთილდღეოდ?

-10 თვე ვიყავი ქალაქის მერი და ეს პერიოდი არ იყო საკმარისი გამნმეხორციელებინა დაგეგმილი და ჩემს მიერ შექმნილი პროექტები. თანაც, მაშინდელი მაჟორიტარი ეკა ბესელია, ფაქტიურად, ღიად მიპირისპირდებოდა და არ მაძლევდა საქმის კეთების საშუალებას, ერთგვარად წნეხის ქვეშ ვიყავი, გამოსავალი იმაში ვიპოვე, რომ ჩემივე განცხადების საფუძველზე დამეტოვებინა დაკავებული თანამდებობა და მონაწილეობა არ მიმეღო გარკვეულ უკანონობებში. სწორედ ამიტომ დავთმე ჩემი პოზიციები, თუმცა არ ვნანობ. ეკა ბესელია გავლენიანი ადამიანი გახლდათ იმ პერიოდში და შეწინააღმდეგებას აზრი არ ქონდა.

-- ჩვენს ქალაქს ნამდვილად გააჩნია რესურსი იყოს ძალიან განვითარებული და წარმატებული ქალაქი. ჩვენ, რა თქმა უნდა, შეგვწევს ძალა და უნარი უსწრაფესად და ეფექტურად ავაღორძინოთ ეს ქალაქი. ფოთი არის ამიერკავკასიის მთავარი კვანძი, კარიბჭე, ამიტომ, აუცილებლად ქალაქს უნდა მიენიჭოს განსაკუთრებული სტატუსი. ეს საკანონმდებლო დონეზე უნდა გადაწყდეს და თუ მომეცემა შესაძლებლობა, ვიბრძოლებ ამისათვის. ასევე, პრინციპული საკითხია ჩემთვის ის, რომ გამარჯვების შემთხვევაში, სამივე ქალაქში ადგილობრივი ახალგაზრდებით დაკომპლექტებულ ადგილობრივ ეფექტურ მთავრობას ჩამოვაყალიბებ და ისინი თავიანთ ქალაქს ემსახურებიან სუფთა ფურცლიდან.

თემურ ფაჩულია

-მე გახლავართ მესამე თაობის ფოთელი, სადაც დავიბადე, გავიზარდე და ჩამოვყალიბდი პიროვნებად. პოლიტიკიდან არ წავსულვარ, უფრო პრაქტიკულ პოლიტიკას ჩამოვცილდი, სოხუმის სახელმწიფო ინსტიტუტში ვასწავლი პოლიტოლოგიას, რაც დაკავშირებულია თეოლოგიურ პოლიტიკასთან. როცა უყურებ ქალაქის მდგომარეობას, ხედავ, რომ ეს ქალაქი ფაქტიურად ჩაკვდა და ფოთი გაუთანაბრდა სოფელს. არადა, აქ წლების წინ ცხოვრება დუღდა, მუშაობდა უამრავი საწარმო, მათ შორის საკავშირო დაქვემდებარების საწარმოები, ფოთის გემსაშენი, ფოთის საოკეანო თევზჭერის საწარმო, ჰიდრომექანიზმების ქარხანა, უამრავი საწარმო დაწესებულება მუშაობდა, სადაც დასაქმებული იყო ადგილობრივი მოსახლეობა. აქ ადრე ფუნქციონირებდა მრავალი საგანმანათლებლო უმაღლესი სასწავლებლები, რომლებიც, სამწუხაროდ, სააკაშვილის ხელისუფლების დროს დაიხურა. სამაჟორიტარო ოლქში ვეცნობი მოსახლეობის ცხოვრებას, უამრავ ამომრჩეველს ვხვდები და ვხედავ, როგორ სავალალო მდგომარეობაშია ერთ დროს საქართველოში ყველაზე მდიდარი და აყვავებული მხარე.

- ამ ქალაქის ჩავარდნა გამოიწვია იმან, რომ მას არ აქვს სტატუსი. ფოთს უნდა მიენიჭოს ფედერალური ქალაქის სტატუსი, მაგალითად, როგორიც არის ბრემენი გერმანიაში, ამ სტატუსით ფოთი გათანაბრებული არ იქნება აბაშასთან, ხობთან, სენაკთან, თვითმმართველობაც განვითარდება და სტატუსიც, სტატუსის მინიჭებას სჭირდება ლობირება, დეპუტატი პარლამენტში უნდა იყოს მნიშვნელოვანი საკითხების ლობისტი, ამისთვის არის ბრძოლა საჭირო, ამას ხონჩით არავინ მოგვართმევს. ფოთს დღეს სამი უბედურება სჭირს - უმუშევრობა, სიღატაკე და კორუფცია. ასევე უნდა გაიზარდოს, გაორმაგდეს ქალაქის ბიუჯეტი. თავის დროზე ნიკო ნიკოლაძემ ქალაქი ფოთი ააშენა საფუთე გადასახადით, ერთ ფუთ მარგანეცზე დაწესებული ნახევარი კაპიკი (საექსპორტოზე), ახლა საფუთე გადასახადს ჩვენ ვერ დავაწესებთ, სატონე გა-

დასასრული 4-გვ.

თემურ წურწუმია: „ვინც გაიმარჯვებს,ვუსურვებ,ფოთის,ხობისა და სენაკის საკეთილდღეო საქმეები ეკეთებინოს...

ივეტა პაჭკორია
ფოთი

გაზეთი „მთავარი თემა სამეგრელოში" აგრძელებს კანდიდატების გაცნობას მკითხველისათვის. რვა წლის შემდეგ საქართველოს კონსერვატიული პარტია პოლიტიკურ არენას დაუბრუნდა და საპარლამენტო არჩევნებში დამოუკიდებელ სუბიექტად იბრძვის. მათი „ქართულ ოცნებასთან" „გაყრის" მიზეზი პროპორციული არჩევნები გახდა, რადგან კონსერვატიული პარტიის წევრები თვლიან, რომ საქართველო ჯერ არ არის მზად პროპორციული არჩევნებისათვის. საქართველოს კონსერვატიული პარტია - „ზვიად ძიძიგურის" ფოთი, ხობისა და სენაკის მაჟორიტარობის კანდიდატი ყოფილი პარლამენტარი ნაციონალური პარტიიდან თეიმურაზ წურწუმია გახლავთ.

— რა გზა გაიარა კონსერვატიულმა პარტიამ დაარსებიდან 2020 არჩევნებამდე?

— 2005 წელს, ფოთში ჩამოვაყალიბეთ კონსერვატორული პარტია, რასაც სამწუხაროდ, დაემთხვა ჩემი დევნა იმდროინდელი ნაციონალური ხელისუფლების მხრიდან. ეს იყო ჩემი საკრებულოს თავმჯდომარეობის პერიოდი. სამი წელი შეფარდებული მქონდა პოლიციის ზედამხედველობა. ამის შემდეგ პოლიტიკურ საქმიანობას ჩამოვშორდი და მეუფე გრიგოლის ლოცვა კურთხევით ვიყავი ფოთის საკათედრო ტაძრის აღდგენის ფონდის ხელმძღვანელი და ბედნიერი ვიყავი, რომ უფალმა მომცა საშუალება, ამ დიდებულ საქმეში ჩემი ცოტაოდენი წვლილი შემეტანა. აღსანიშნავია ის ფაქტი, რომ უცნაური გაგრძელება მოყვა ჩემზე საქმის აღძვრას, მართალია, ბევრი ფიქრობს, რომ დაჭერილი ვიყავი, მაგრამ ასე არ არის. ყოველგვარი საპროცესო გარიგების წინააღმდეგი ვიყავი, რადგან ვერაფრით დავუშვებდი ისეთ საკითხზე გამეკეთებინა საპროცესო შეთანხმება, რასაც ჩემი ცხოვრების წესი, აზროვნების სტილი და მორალი ეწინააღმდეგება. ბრალი არ დამიმტკიცდა და ამიტომაც ნაციონალური მოძრაობის მოთხოვნით დამაბრუნეს აღმასრულებელ ხელისუფლებაში. ჯერ ვიყავი მერის მოადგილე, შემდეგ კი პარლამენტის წევრი.

რაც შეეხება კონსერვატიულ პარტიას, იგი სათავეს ეროვნული მოძრაობიდან იღებს, პარტიის თავმჯდომარე ზვიად ძიძიგური დამოუკიდებლობის აქტზე ხელისმომწერი პიროვნებაა. პარტია მთელი თავისი არსებობის განმავლობაში აქტიურად მონაწილეობს როგორც ცენტრალური, ისე თვითმმართველობის არჩევნებზე. პარტიის წარმომადგენლები პარლამენტშიც და თვითმმართველობის საკანონმდებლო ორგანოებშიც ხშირად იყვნენ წარმოდგენილნი. 2012 წლიდან პარტია „ქართული ოცნების" კოალიციაში შევიდა, უმრავლესობა დავტოვეთ 2019 წელს, მაგრამ ბოლო ორი არჩევნები ოცნებიდან ვღებულობდით მონაწილეობას პოლიტიკურ ცხოვრებაში, რის გამო პარტიამ დაკარგა კვალიფიციური სუბიექტური პოლიტიკური სტატუსი, დაკარგა საუბნო საარჩევნო კომისიებში წევრები, თავისთავად დავკარგეთ დაფინანსება. თავიდან გვიხდება პარტიის შენება. საბედნიეროდ, ყველა მუნიციპალიტეტში გაგვაჩნია პარტიული ორგანიზაცია.

— რა იყო თქვენი ოცნებასთან „გაყრის" მიზეზი?

— გაყრის მიზეზი პროპორციული არჩევნები იყო, სამყაროში არ არსებობს მოვლენა, რომელსაც თავისი დადებითი და უარყოფითი მხარეები არ აქვს. პროპორციული სისტემა თავისთავში შეიცავს დემოკრატიის მაღალ ხარისხს, საშუალებას აძლევს ბევრ პოლიტიკურ ძალას გააქტიურდეს და მართველობით ორგანოში თავისი წარმომადგენლები შეიყვანოს. ასევე ხელს უშლის ერთ პოლიტიკურ ძალას მოახდინოს ხელისუფლების მონიპოლიზირება და უფრო მიდრეკილია კოალიციური მმართველობისკენ. მთავარია გარემო იყოს მზად ამ სისტემისათვის. თუ პოლიტიკური პარტიები თანხმდებიან, რომ ამ სისტემას გამოიყენებენ გონივრულად, მაშინ ეს ქვეყანას ძალიან წაადგება, მაგრამ თუ პროპორციული არჩევნების შედეგებს შემდეგ მოყვა დაპირისპირება, შეუთანხმებლობა, ეს შეიძლება გახდეს პოლიტიკური კრიზისების გამომწვევი მიზეზი, როგორც საკანონმდებლო ისე აღმასრულებელ ხელისუფლებაში და ქვეყანა შეიძლება აღმოჩნდეს პერმანენტული არჩევნების რეჟიმში.

-თქვენ რატომ უნდა აგირჩიოს ამომრჩეველმა?

— ჩვენ არ ვართ ოპოზიციაში, არ ვართ პოზიციაში, რაღაც მესამე ხაზი გვაქვს არჩეული და ვამბობთ, რომ ჩვენ ვებრძვით არა პარტიულ კონკურენტ სუბიექტებს, არამედ პრობლემებს, რომელიც საქართველოს წინაშე დგას. ჩვენ შევარჩიეთ სამი უმთავრესი პრობლემა, რომლის გადაწყვეტის გარეშე საერთოდ არ ექნება ფასი, რასაც საქართველო თავის განვითარების გზაზე მიაღწევს, ეს არის მომავალი თაობის ჯანსაღად შენარჩუნება, საქართველომ უნდა გამოუცხადოს მკაცრი ბრძოლა ნარკოტიკს და ის უნდა ჩანაცვლდეს სპორტით. საქართველოში 200 ათასი ნარკოდამოკიდებული ადამიანი ცხოვრობს. ნარკოტიკების მოხმარება გაახალგაზრდავდა. სახელმწიფო უნდა ეცადოს მათი შემდგომი გავრცელების არეალი შეზღუდოს და ახალი ადამიანები არ მიემატოს ამ 200 ათასს. პარლამენტში მოხვედრის შემთხვევაში, მოვახდენთ კანონის ინიცირებას. ახალგაზრდამ საკუთარი არჩევანით იაროს სპორტულ დარბაზებში, საცურაო აუზებში, ფიტნეს კლუბებში და რაც შეიძლება ნაკლები დრო დარჩეს იმ საძაგლობისათვის, რასაც ნარკოტიკი ქვია.

მეორე მნიშვნელოვანი საკითხი სახელმწიფოსა და ეკლესიის თანამშრომლობაა. საქართველოს ეკლესია არ არის ჩვეულებრივი ორგანიზაცია. ეს არის სტრუქტურა, რომელსაც ქვეყნის გადარჩენაში, იდენტობის შენარჩუნებაში და მისი კულტურული ფასეულობების მოვლის, შენახვისა და ჩვენამდე მოტანის საქმეში აქვს უმნიშვნელოვანესი წვლილი შეტანილი. არ შეიძლება ისე გავალიბერალიზაციოთ საზოგადოება, რომ საქართველოს მართლმადიდებელი ეკლესია დაკნინდეს. დღეს ორკესტრირებული შეტევა მიდის საქართველოს ეკლესიაზე, რათა ეკლესიას გამოაცალონ ის საფუძვლები, როგორიცაა მრევლთან ურთიერთობა, ადათ წესების, კულტურული ფასეულობების გაუფასურება. უნდათ, რომ კონკორდატი საერთოდ გაუქმდეს. ჩვენი მიზანია, კი არ გაუქმდეს, არამედ ის მუხლები, რომელიც ეხება განათლებას, სამხედრო

დასასრული 4-გვ.

თემურ წურწუმია: „ვინც გაიმარჯვებს,ვუსურვებ, ფოთის,ხობისა და სენაკის საკეთილდღეო საქმეები ეკეთებინოს...

დასაწყისი 3-გვ.

საკითხებს, პატრიოტულ სულისკვეთებას ახალგაზრდებში და კიდევ სხვა თემები, ავამოქმედოთ.

მესამე ვეტერანების თემაა. საქართველოს გაჩნია ოქროს ფონდი იმ ადამიანების სახით, რომლებსაც ომისა და თავდაცვის ძალების ვეტერანები ქვიათ. ასევე ის ადამიანები, რომლებიც საქართველოს მთლიანობისათვის არიან დაღუპულები. საქართველოს ყოველთვის აქვს განსაცდელი და საშიშროება ტერიტორიების მთლიანობის დაკარგვისა. თუ ხვალ და ზეგ ჩვენ იგივე საშიშროების წინაშე დავდგებით, რას ვეუბნებით იმ ახალგაზრდებს, რომლებმაც უნდა დაიცვან საკუთარი ქვეყანა, როგორ ვუფრთხილდებით ვეტერანებს და ომში დაღუპული გმირების ოჯახებს? მაგალითად მოგვყავს ისრაელი, რომელიც პატარა ქვეყანაა და ომის პირობებშიც ახერხებს განვითარებას.

ეს ყველაფერი ჩვენ სხვებთან ერთად გვტკივა, გააზრებული გვაქვს, არ არის მარტო არჩევნების დროს გასახსენებელი თემები. გარწმუნებთ, ჩვენ „კონსერვატორები“ ამ პრობლემებს არ გავაჩერებთ მანამ, სანამ სახელმწიფოს მხრიდან არ იქნება მიღებული შესაბამისი ზომები.

— 8 წელია ხართ პარლამენტში, იბრძოდით კი ამ პრობლემების მოსაგვარებლად?

— რა თქმა უნდა, ვიბრძოდით, ჩვენ არც მაშინ გავჩერებულვართ და არც მომავალში ვაპირებთ გაჩერებას. 2013 წელს ომში დაღუპულის ოჯახი ღებულობდა 28 ლარიან დახმარებას. კონსერვატორების ინიციატივით დახმარება გახდა 1000 ლარი. შემდგომ ჩავერთეთ სამსახურეობრივი მოვალეობის დროს დაღუპული, ძალოვანი სტრუქტურის თანამშრომლების დახმარების თანხის გაზრდის საკითხში. 2013 წელს 1000 ლარი იყო და გახდა 10 000 ლარი. იგივე იყო ნარკოტიკის ლეგალიზაციაზეც. ჩვენ რომ არ წავსულიყავით წინააღმდეგი, სულ რამდენიმე ხმა აკლდებოდა ლეგალიზაციის კანონ-პროექტს. ამჟამად ეს კანონ-პროექტი გაყინულია, მაგრამ თუ მეტი ლიბერალი და ნაკლები კონსერვატორი მოვა, ეგ საკითხი კვლავ დადგება საფრთხის ქვეშ. ესეც ერთგვარი დემოკრატიაა, როდესაც ვიღებთ კანონს, რომელიც 80 % კონსერვატორ საქართველოს მოსახლეობას არ მოწონს, მაგრამ 20 % ლიბერალს გააქვს კანონი რატომღაც. გამოდის, რომ მცირე ლიბერალი მეტ შედეგს აღწევს, ვიდრე მეტი კონსერვატორი ქვეყანაში. ამიტომ საუკეთესო გამოსავალია არჩევნები და რა მიმართულებითაც სურს განვითარება, იმ მიმართულებას დაუჭერს მხარს. უკეთესი იქნება, თუ ქვეყანას ექნება ისეთი ინსტიტუცია, რომელიც შეისწავლიდა მოსახლეობის განწყობას და მეცნიერების ჯგუფი შეიმუშავებდა გამოკითხვის მეთოდს და მიახლოებით მაინც დაადგენდა, რა გვინდა სოციალური მიმართულებით, რა - ეკონომიკის მიმართულებით, ტერიტორიული გაერთიანების კუთხით, იგივე მარიხუანას ლეგალიზაციის კუთხით და ასე შემდეგ. შემდეგ პოლიტიკური პარტიები ამ მოსაზრებას დაეყრდნობიან ეს იქნებოდა უფრო თანხვედრასთან.

— პარტიამ გამოგიცხადათ ნდობა ფოთის, ხობისა და სენაკის მაჟორიტარობის კანდიდატად, თქვენი აზრით რა კრიტერიუმებით შეგარჩიეს?

— სამივე მუნიციპალიტეტთან მქონდა შეხება, როდესაც ვიყავი ფოთის, ხობისა და სენაკის ეპარქიის საქმეთა მმართველი. თვეში რამდენჯერმე მიწევდა ამ რაიონებში ჩასვლა, ჩემდა საბედნიეროდ მონაწილეობა მიღებული მაქვს როგორც ფოთის საკათედრო ტაძრის, ასევე სენაკის საკათედრო ტაძრის და ხობის საკათედრო ტაძრის მშენებლობის საკითხში. მაქვს პატრიარქის ჯილდოც მიღებული. ზოგადად, არ მიყვარს ჯილდოები, მაგრამ ეს ჯილდო საპატიო ადგილს იკავებს ჩემს ცხოვრებაში. ასევე ამ მუნიციპალიტეტებთან მაკავშირებს ის პერიოდი, როდესაც ვიყავი სამეგრელო ზემო-სვანეთის საკრებულოთა ასოციაციის თავმჯდომარე. მაშინ ქვეყანაში ყალიბდებოდა თვითმმართველობის ინსტიტუტი და ძალიან ბევრი რამ გაკეთდა ამ კუთხით.

— თქვენ საჯარო სამსახურის მაღალ ეშელონში მუშაობდით, როგორც ედუარდ შევარდნაძის, ასევე სააკაშვილის პრეზიდენტობისას. ძირითადად „ქართული ოცნება“ არ აღიარებს „ნაციონალური მოძრაობის“ მიერ გაკეთებულ საქმეებს, აქაც ხომ არ იკვეთებოდა თქვენი და ქართული ოცნების მოსაზრებები?

— საქართველოს დამოუკიდებლობის მოპოვებამდეც ვმუშაობდი მმართველობის სტრუქტურებში. 1992 წელს დავინიშნე გამგებლის მოადგილედ. ქვეყანაში იყო უმართავი სიტუაცია. ამოსავლად ავიღოთ ის პერიოდი, მთელ ღამეებს ვატარებდი გამგეობაში, განსაკუთრებით დღესასწაულების პერიოდში, რომ მოსახლეობისათვის ახალ წელს მაინც ყოფილიყო შუქი. ამისათვის მიწევდა ბრძოლა. მოშლილი იყო ყველა სისტემა. ამის შემდგომ გავიდა 30 წელი და მე მოქალაქებს ვეკითხები - 92 წელი და ეს დრო შეიძლება შევადაროთ? რა თქმა უნდა, გაკეთდა, ყველა პერიოდში გაკეთდა საქმეები. ამ პერიოდში მიწევს სოფლებში სიარული, გაოცებული ვარ, იმდენად მოწესრიგებულია სოფლის გზა. ყოველ შემთხვევაში შევარდნაძე ცდილობდა, რომ ქვეყნის ევროპული მიმართულება განესაზღვრა, სააკაშვილმა სახელმწიფოს უფრო მეტი ფორმები შეუქმნა, მაგრამ ადმინისტრირებაში გადაამლაშა და ხალხს ის ათქმევინა, დრაკონული მართვის წესებიაო. ივანიშვილის მმართველობის პერიოდში იყო სერიოზული მცდელობები თავისუფლების და ღირსების აღდგენისა, მაგრამ არ უნდა მოხდეს ისე, რომ იმდენად ლიბერალურად მოვექცეთ კანონდარღვევებს, ადამიანები ლიბერალურმა მიდგომამ შეაწუხოს. ყველა გაკეთებულს უნდა შეფასება და შეცდომების მინიმუმამდე დაყვანა.

— თქვენს პოლიტიკურ ბეგრაუნდს როგორ ხვდება ამომრჩეველი?

— მე ვარ პოლიტიკოსი, არასოდეს ვყოფილვარ ბიზნესში. მთელი ჩემი ცხოვრება იყო საჯარო სამსახურთან და პოლიტიკასთან დაკავშირებული. ცხოვრებაც იყო ცვალებადი. ადამიანიც უნდა ეცადოს თავისი შესაძლებლობები დადებითად და სასარგებლოდ მოახმაროს თავისი ქვეყნის მშენებლობას. იმ პერიოდში ის პოლიტიკური ძალა ცდილობს შენი შესაძლებლობების გამოყენებას, რომელიც არის დომინანტი მართვაში. არის შემთხვევა, როდესაც ადამიანს არჩევანის საშუალება აქვს და არის შემთხვევა, როდესაც ცხოვრება გაიძულებს არჩევანის გაკეთებას. კონსერვატიულ პარტიაში ყოფნის 8 წლის პერიოდში, მე თამამად გეტყვით, რომ ეს არის ჩემი არჩევანი. არჩევნებში მონაწილეობაც ჩემი არჩევანია.

—რამდენად გაქვთ არჩევნებში გამარჯვების იმედი და ვინ მიგაჩნიათ კონკურენტად?

—ძალიან ბევრ არჩევნებში მაქვს მონაწილეობა მიღებული და ძირითადად ვიმარჯვებდი. არ ვარ ორიენტირებული ვინმესთან კონკურენციაზე, მე ვარ ორიენტირებული მივიტანო ჩემს ამომრჩევლამდე საპროგრამო პრინციპები, ეს არის კონსერვატორული პარტიის ხედვა, ეკლესიასთან მიმართებაში, ნარკოტიკთან ბრძოლაში, ომის ვეტერანების პირობების გაუმჯობესებაში და თუ ამას ჩემი ამომრჩეველი გამიგებს, ჩავთვლი, რომ გამარჯვებული ვარ და ოდნავადაც არ მიშლის ხელს იმის განცდა, რომ ძალიან დიდ პოლიტიკურ ძალებთან მიწევს ბრძოლა. მათ აქვთ თავიანთი ხედვები, კონსერვატიულ პარტიას თავისი ხედვა და გზა. მე ვარ ადამიანი, რომელიც ამ სამ მუნიციპალიტეტში ამ იდეების პროპაგანდას ვეწევი. ამ შემთხვევაში ეს არის ჩემი ტრიბუნა და ვცდილობ ამ ტრიბუნის მაქსიმალური ეფექტით გამოყენება. ვინც გაიმარჯვებს, ვუსურვებ ფოთის, ხობისა და სენაკის საკეთილდღეო საქმეები ეკეთებინოს.

„შეჩვეული ჭირი„ თუ კარგად დავიწყებული ძველი... (?!)

31 ოქტომბერი არჩევნების დღეა

დასაწყისი 3-გვ.

დასახადი უნდა გაკეთდეს, ფოთი მთელი რეგიონის კარიბჭეა, მთელი ამიერკავკასია, ცენტრალური აზია ფოთზეა ჩამოკიდებული. პარლამენტმა უნდა მიიღოს კანონი სატონე გადასახდზე, ამისთვისაც ბრძოლაა საჭირო, ანუ ლობისტი თუ არ გყავს პარლამენტში, საქმეს ვერ გააკეთებ. სატონე გადასახადი ფაქტიურად ბიუჯეტს გააორმაგებს, დღეს 15 მილიონამდე თუ არის ბიუჯეტი, გახდება 30 მილიონი და მეტიც. მე ამ საკითხს ვაყენებ როგორც ამ ქალაქის განვითარების ერთ-ერთ წყაროს. არის სხვა რეზერვები ადგილობრივი, იგივე საპროპელი, რომელიც ბერძნული სიტყვაა და ნიშნავს დამპალ ბალახს. საპროპელი გვაქვს ჩვენ მილიონობით ტონა პალიასტომის ტბაში, რომელიც დღეს კვდება, ჟანგბადი არ არის ტბაში, 42 თევზის სახეობა იყო და დღეს არის 2 სახეობა შემორჩენილი, ისიც გაქრება, რადგან ტბა არ სუნთქავს. საჭიროა იმ მასის ამოღება და გაღრმავება, იქ უნდა გაკეთდეს ქარხანა, რომელსაც გადაამუშავებს, კონდიციამდე მიიყვანს და გაიყიდება, დიდი მოთხოვნაა ამაზე, მთელი ახლო აღმოსავლეთი ითხოვს ეკოლოგიურად სუფთა მასალას (სასუქი), რაც შემდგომ თავისთავად მისცემს ბიოლოგიურად სუფთა პროდუქტებს. ამისთვის არის საჭირო მონდომება, ეს რომ გაკეთდეს ფოთის ბიუჯეტს გააორმაგებს.

მცირე ბიზნესს უნდა შეუწყოს ხელი სახელმწიფომ. ყოველივე ეს ასახულია პატრიოტთა ალიანსის პროგრამაში. მცირე ბიზნესზე დგას დასავლეთი, ევროპა და მათ შორის ამერიკა. ამერიკა კოოპერატიული მოძრაობებით პირველია მსოფლიოში, ჩვენც უნდა განვავითაროთ. პატრიოტთა ალიანსის გამარჯვების შემთხვევაში, მთელ საქართველოში ეს მიმართულება განვითარდება.

ყველაფერი კი წინაა. რამდენიმე დღეში არჩევნებია და ყველა ერთად ვნახავთ, მოსახლეობა "შეჩვეულ ჭირს" ამჯობინებს თუ კარგად დავიწყებულ ძველს მისცემს შანს.

ლევან მარტიაშვილი: „ჩემი უპირველესი მიზანი კი სამართლიანი სასამართლო იქნება....

ივეტა პაჭკორია
ფოთი

საპარლამენტო არჩევნებს ახალი პარტია „ბეჟან გუნავა - ქართული არჩევანი"- შეუერთდა, რომელიც ადვოკატებისგან გახლავთ დაკომპლექტებული და სამართლიანი სასამართლოს მოპოვებისათვის იწყებენ ბრძოლას. პარტიას ფოთის, ხობისა და სენაკის მაჟორიტარ დეპუტატად წარდგენილი ყავს ადვოკატი ლევან მარტიაშვილი.

იგი თბილისელია, მაგრამ ხუთი წელია ცხოვრობს ფოთში, მეუღლესთან ერთად აქვს საადვოკატო ფირმა და ეწვა საადვოკატო საქმიანობას..

— როდის ჩამოყალიბდა პარტია და რატომ გადაწყვიტეთ არჩევნებში მონაწილეობა?

— საერთოდ არ ვგეგმავდი რაიმე სახის არჩევნებში მონაწილეობის მიღებას. ვერ ვიტყვი რომ ვარ პოლიტიკური ადამიანი, მაგრამ ვარ სამართლიანი და მინდა ჩემს ქვეყანაში აღდგეს ერთხელდა სამუდამოდ სამართლიანობა და საქართველოში სასამართლო იყოს სამართლიანი. როგორც კი სასამართლო დაიბრუნებს დამოუკიდებლობას, მე ჩემს პროფესიას უნდა დავუბრუნდე. დღეს ნოტარიუსები და პროკურორები გვევლინებიან მოსამართლის რანგში. პარტია ჩამოყალიბდა 2020 წლის აგვისტოში, ახალი პარტია ვართ. პარტიაში გაწევრიანებულები ვართ ძირითადად იურისტები. საკმაოდ ახალგაზრდული პარტია გვაქვს და მართლაც შესტკივათ საქართველოზე გული. რაც შეეხება დაპირებებს, ჩვენ ტყუილ დაპირებებს არავის ვაძლევთ. იურისტები ვართ და ვიცით, რას ნიშნავს ტყუილი დაპირება. ადვოკატებს კანონში გვიწერია, რომ ტყუილი იმედი არავის არ უნდა მივცეთ, აქედან გამომდინარე შევეჩვიეთ სიმართლის თქმას.

-რა განგასხვავებთ სხვა პარტიებისაგან?

— გვაქვს რამდენიმე კანონ-პროექტი შეტანილი პარლამენტში. ეს არის დასაქმების კანონ-პროექტში ცვლილებების შეტანა, კერძოდ სოციალური დაცვის მიზნით რეგისტრირებულ უმუშევრებზე შემწეობის გაცემა სახელმწიფო ბიუჯეტიდან, რომელიც არ შეიძლება იყოს საარსებო მინიმუმის ოდენობაზე ნაკლები, ასევე კანონპროექტი პენსიების ოდენობასთან დაკავშირებით, კერძოდ პენსიის ოდენობა არ უნდა იყოს იმ წლის სახელმწიფო ბიუჯეტით გათვალისწინებული მინისტრის ხელფასის 10 %-ზე ნაკლები, მესამე კანონპროექტი არის საქართველოს ორგანულ კანონში „ეროვნული ბანკის შესახებ" ცვლილებების შეტანა, კერძოდ განისაზღვროს ამ სფეროში, საბანკო საქმიანობის ოპერაციების დასაშვები პარამეტრები, მათ შორის - საპროცენტო განაკვეთის, ჯარიმების, პირგასამტეხლოების გადახდისა და ჩათვლის წესები საერთაშორისო საბანკო პრაქტიკაში დამკვიდრებული კრიტერიუმების შესაბამისად. მართალია, ეს კანონპროექტი დარეგისტრირებულია პარლამენტში, მაგრამ თუ პროექტს ლობისტი არ ყავს პარლამენტში, ძნელია მისი გატანა. ალექსი კობაიძემ შეიმუშავა კანონპროექტი ამნისტიის შესახებ, 13 000 ხელმოწერა გვქონდა შეგროვებული, მაგრამ უარი გვეთქვა მის განხილვაზე. გადავსებულია ციხეები პატიმრებით, დაახლოებით 32 000 პატიმარია დღეს საქართველოში და მალე დავეწევით იმ რეჟიმს, რომელიც დღევანდელმა ხელისუფლებამ გაისტუმრა.

— ამ პრობლემის მოსაგვარებლად რამდენადაა გამოსავალი ამნისტია?

— ამნისტია იმდენადაა გამოსავალი, რამდენადაც ძალიან ბევრი უდანაშაულო ადამიანი იხდის სასჯელს. მოსამართლე ვერ იღებს სამართლიან გადაწყვეტილებას, ყველა პროკურორმა წინასწარ იცის, რა განაჩენს გამოიტანს მოსამართლე, რადგან სასამართლო მთლიანად ექვემდებარება პროკურატურას. თუ სასამართლო არ იქნა სამართლიანი, ეკონომიკაც ვერ განვითარდება.

— რამდენად ცნობილი პიროვნება ხართ თქვენი ელექტორატისათვის და როგორ ახერხებთ მათთვის საკუარი თავის გაცნობას?

—მიუხედავად იმისა, რომ ჩვენ ახალი პარტია ვართ, შემიძლია ვთქვა, რომ ხალხი ცუდად არ გვხვდება. დღეს ამომრჩეველმა არ იცის ვის მისცეს ხმა, როდესაც მოსახლეობასთან მივდიოდი, მეკითხებოდნენ, ოცნება ვიყავი თუ ნაციონალი, როდესაც ჩემი პარტიის გაცნობას ვიწყებდი, ხალხი მოდიოდა და მისმენდა. აქედან დასკვნა გამომაქვს, რომ არც ყოფილი და არც მოქმედი ხელისუფლება არ უნდათ. ამომრჩევლის გასაკეტებელია არცევანი, მაგრამ . ერთს ნამდვილად ვპირდები არჩევის შემთხვევაში - ყოველ შაბათ-კვირას მოვისმენ მათ პრობლემებს და დავეხმარები გადაჭრაში.

ლევან მარტიაშვილი

დღეს უმთავრესი და გადაუჭრელი პრობლემა ფოთში კანალიზაციის სისტემაა, რომელიც ორი წლის წინ უნდა დამთავრებულიყო, არ გვაქვს ქუჩები. ხობის სოფლებში არის გაზიფიცირების პრობლემა, ეს იმიტომ, რომ სოკარს აქვს მონოპოლიზირებული ყველაფერი, თუმცა ამის მოგვარებაც შეიძლება, შესაძლებელია სოკარი აიძულო, გაზი გაიყვანოს ყველგან. გაზიფიცირება გადაჭრიდა ეკოლოგიურ პრობლემასაც, არ გაიჩეხებოდა ტყე. სოფლებში არ არის სანიაღვრე არხები, და ესეც არ არის გადაუჭრელი პრობლემა.

— რითი გამოირჩევა თქვენი საარჩევნო პროგრამა?

— ჩვენ არ ვიტყუებით. ტკბილ ტყუილს ყოველთვის მწარე სიმართლე ჯობია. ჩვენი უპირველესი მიზანი სოფლის მეურნეობის განვითარებაა, დღეს ნახევარი საქართველო ყიდის, ნახევარი ყიდულობს და დიდი პოტენციალი აქვს საქართველოს, განავითაროს ეს დარგი. ადვოკატის პროფესია 90-ან წლებში გამეფებულმა უსამართლობამ გადამაწყვეტინა.

— კონკურენტად ვის მიიჩნევთ?

- ყველას, რადგან ჩვენ ახალი პარტია ვართ, მეორე სულ რაღაც ხუთი წელია, რაც აქ ვცხოვრობ და თუ ვინმე მიცნობს, მიცნობს ჩემი სამსახურიდან.

— რას ეტყოდით თქვენს ამომრჩეველს...

— მოვიდნენ არჩევნებზე და სწორი არჩევანი გააკეთონ. მე კი ვეცდები უპირველესად ის კანონ-პროექტები გავიტანო, რაზედაც ვსაუბრობდი. ჩემი უპირველესი მიზანი კი სამართლიანი სასამართლო იქნება.

ფოთის თეატრის შენობა - ქალაქის აქილევსის ქუსლი...

თეკლე მატკავა
ფოთი

მრავალ ჭირნახულ ფოთის თეატრს, ბევრი წარმატების მიუხედავად, უამრავი ტექნიკური პრობლემა აქვს, ჯერ კიდევ წლების წინ ერთ ძველ, პატარა შენობას მიკედლებულნი მოჯადოებული წრეზე იწყებენ ტრიალს.

ახალი თეატრის პირველი ხიმინჯი 2005 წელს ჩაიდო. მას შემდეგ მიდის და მიდის მშენებლობები. გაურკვეველია, საბოლოო სახეს როდის მიიღებს და როდის დაუბრუნდება ქალაქს ნამდვილი თეატრალური ცხოვრება. ქალაქის ცენტრში კი დგას დიდი შენობა, რომელიც უამრავ კითხვას უჩენს მნახველს. იგი არა ახალაშენებული, ძველი საბჭოთა გადმონაშთი, მიტოვებული შენობა უფრო ეგონება ადამიანს. არადა, სულ რაღაც შვიდი- რვა წლის წინ დიდი ზეიმით გაიხსნა, გახსნის დღიდან კი არაერთი პრობლემის მომსწრე გახდა თავად თეატრის კედლები და ერთ დიდ ტრაგიკომედიად იქცა.

თეატრმა პრობლემების მოგვარების პერიოდში ქალაქმა სამი მერი გამოიცვალა, მაგრამ პრობლემა ისევ რჩება იმის მიუხედავად, რომ ყველა მათგანისათვის თეატრის მშენებლობის საკითხი პრიორიტეტული თემა იყო. საერთო ჯამში თეატრისთვის 15 მილიონი დაიხარჯა, თუმცა არათუ საბოლოო შედეგი, საქმე სანახევროდაც არ არის წინ წაგდებული. რეალურად, გამოდის ის გამოყოფილი მილიონები წყალშია გადაყრილი, ანაც მავანის ჯიბეში „დაილექა„.

ფოთის ვიცე-მერის, კოტე თოფურიას განმარტებით, შეცდომა პროექტშია: „არ უნდა დაგვავიწყდეს, რომ თეატრი არ არის აშენებული იმ პროექტით, რომელიც დახაზა ხმალაძემ. სულ სხვა რაოდენობის დარბაზი იყო გათვალისწინებული მანდ, თუ სწორად მახსოვს 400 ადამიანი და რეალურად მივიღეთ 600 ადგილიანი. რატომ შეიცვალა პროექტი, ეს წინა მთავრობას უნდა ვკითხოთ, რომელსაც ხელეწიფებოდა ასეთი საკითხები და თვითონ აკონტროლებდა ყველაფერს. მშენებელმა თავისი წილი პასუხისმგებლობა აიღო, როგორც ვიცი პასუხისგებაშია მიცემული, მაგრამ პრობლემა მაინც რჩება პრობლემად. ქალაქის ცენტრში დევს 15 მილიონი, რომელსაც ვერ იყენებს, ამას არ შველის ქუჩაში გამოსვლა და ხმამაღლა ყვირილი, ამას უნდა პროფესიონალების ჩართვა და პრობლემის რეალურად გადაწყვეტა".

დღევანდელი მდგომარეობა ყველაზე მეტად აწუხებს მსახიობებს, თეატრის ხელმძღვანელობას, დასის ხელმძღვანელს, თეატრში მომუშავე სხვა პერსონალს, რომლებიც თავიანთი მხრებით წლების განმავლობაში ეზიდებიან ყოველგვარ პრობლემას და ოცნებობენ იმ დღეზე, როცა „შინ" გაბედულად და შიშის გარეშე შეძლებენ თამაშს.

სამხატვრო ხელმძღვანელი რამაზ იოსელიანი ამბობს, რომ სამუშაოები ისევ უხარისხოდ ჩატარდა და თანაც ნაწილობრივ. მას პრეტენზიები ტენდერში გამარჯვებულ კომპანიასთან აქვს, რომელმაც უხარისხოდ და არაპროფესიონალურად ჩაატარა სამუშაოები. მისი თქმით, მეორე ეტაპის სამუშაოებიც დაგვიანებულ ვადებში დასრულდება: „გარე ფასადის მოწესრიგება მეორე ეტაპის სამუშაოებია, თუმცა ჯერ საპროექტო ტენდერიც კი არ არის გამოცხადებული, ამის შემდეგ ისევ ტენდერი უნდა გამოცხადდეს, თუ რომელი კომპანია შეასრულებს და ასე გაიწელება ვადები, მომავალ წელს გაზაფხულზე, სავარაუდოდ, დასრულდება. ყველაფერ ამას თავი რომ დავანებოთ, ფაქტიურად, მხოლოდ კოსმეტიკური სამუშაოები ჩატარდა თეატრში, ბევრი ნიუანსი, პრობლემა მოუგვარებელი დარჩა, მათ შორის გათბობის სისტემები, რეალურად მხოლოდ ფანჯრების პრობლემა მოაგვარეს, ისიც ნაწილობრივ, ზოგი საერთოდ არ იღება".

მართალია, სამუშაოები არ შესრულდა, მაგრამ მიღება-ჩაბარების ხელშეკრულება გაფორმდა, რომელსაც ხელს აწერს არქიტექტურისა და ზედამხედველობის სამსახურის მაშინდელი ხელმძღვანელი გურამ ადამია, რომელმაც მალევე დატოვა დაკავებული თანამდებობა. თუმცა ვიცე მერი თოფურია ადამიას დაკავებული თანამდებობიდან წასვლას თეატრის პრობლემებთან კავშირს უარყოფს: „გურამ ადამია ჩვენი დიდი თხოვნით მოვიდა ამ თანამდებობაზე და დიდი დახმარებაც გაგვიწია უამრავ საკითხში. მან თანამდებობა ჯანმრთელობის გაუარესების გამო დატოვა. რაც შეეხება თეატრის მშენებლობაზე მიღება- ჩაბარების ხელშეკრულებაზე ხელმოწერას, მან ხელი მოაწერა მშენებლობის იმ ნაწილის დასრულებას, რაც გაფორმდა მშენებელსა და ქალაქს შორის. ეს იყო პირველი ეტაპის სამუშაოები, რომლის ჩატარების დროს აღმოჩნდა კიდევ უამრავი პრობლემა, რომელიც არ იყო პროექტით გათვალისწინებული. გეთანხმებით, რომ თეატრის მშენებლობაში დახარჯულია დიდი თანხა და ერთი ხელის მოსმით იქ არსებული პრობლემების მოგვარება ძნელია. ჩვენ ჩავატარეთ პირველი ეტაპის სამუშაოები, ის რაც თვალხილული იყო ჩვენთვის. მაგალითად, ჩამოდიოდა წყალი და გაკეთდა. თუმცა დარჩა გრუნტიდან შემომავალი წყალი. მაგალითად თუ შემოდიოდა 10 ლიტრი წყალი, ახლა შედის 5 ლიტრი წყალი. თავიდან შეუძლებელი იყო იმის განსაზღვრა, საიდან შედიოდა წყალი, მუნიციპალიტეტი ვერ საზღვრავს ამას, ეს სხვა კვლევის საგანია. პირველი სამუშაოების დროს გამოჩნდა კიდევ დამატებითი ბევრი სამუშაო შესასრულებელი. მთავარი დანაშაული შენობაში იყო, ის რომ არ ნიავდებოდა, ვენტილაცია არ არსებობდა". თოფურიას განმარტებით, მიუხედავად შენობის პრობლემისა, ფოთში თეატრალური ცხოვრება არ შეწყვეტილა, „რამაზ იოსელიანის დამსახურებაა რომ ფოთში თეატრალური ცხოვრება, ყველაფრის მიუხედავად არ გაჩერებულა".

ფოთის თეატრი წლების განმავლობაში უამრავი პრობლემის წინაშე დგას, მაგრამ დასი წარმატებით აგრძელებს თეატრალურ ცხოვრებას სხვადასხვა ქალაქის სცენაზე, ასევე ფოთში არაერთმა სამსახურმა უმასპინძლა და დროებით გადაიქცა ფოთის მთავარ თეატრალურ სცენად.

უამრავი წარმატების ფონზე მათ საზრუნავად გადაიქცა სახლში, მშობლიურ სცენაზე თამაში და ერთადერთ იმედად ფონდი „ქართუ" ესახლებათ, რომელმაც სენაკის, ოზურგეთის თეატრების რეაბილიტაცია განახორციელა, ასევე ივანიშვილის თაოსნობით მიმდინარეობს და დასკვნით ფაზაზეა ზუგდიდის თეატრის მშენებლობა. „ერთი გზაა დარჩენილი - ხმა მივაწვდინოთ ბიძინა ივანიშვილს, იქნება საბოლოოდ მოგვარდეს ეს პრობლემა. პირადი აზრია, რომ ფოთის თეატრს აუშენონ მცირე ადგილიანი თეატრი, ასე 200 მაყურებელზე გათვლილი, ხოლო ის შენობა დასანგრევი და თავიდან ასაშენებელია" -გვითხრა იოსელიანმა.

თეატრის შენობის რეაბილიტაცია რომ უხარისხოდ და ხარვეზებით მიმდინარეობს, ამაზე ხშირად და ხმამაღლა საუბრობენ თეატრალები. ფოთის ვალერიან გუნიას სახელობის თეატრისა და კონსტანტინე გამსახურდიას სახელობის სოხუმის თეატრის მსახიობს, ჯანო იზორიას მიაჩნია, რომ სამოქალაქო საზოგადოებასთან ერთად, ერთიანი ძალით უნდა მოგვარდეს არსებული პრობლემა: „პანდემია რომ არც ყოფილიყო ქვეყანაში და სამყაროში, ჩვენი თეატრის პრობლემები ისედაც იქნებოდა, ვერ შევიდოდით და ვერ ვითამაშებდით, პანდემიამ თავისთავად მოიცვა მთელი თეატრალური საზოგადოება, ვერც ერთი თეატრი ვერ უბრუნდება სცენას. ჩვენ მწარედ ვხუმრობთ, რომ პანდემიის გარეშეც ვერ ვითამაშებდით სცენაზე, რადგან თეატრის სარეაბილიტაციო სამუშაოები უხარისხოდ და არასრულყოფილად მიმდინარეობს. საქმეს როდესაც აკეთებ, უნდა გიყვარდეს. საერთოდ საკითხავია, ვინმე აკეთებს სიყვარულით საქმეს? თეატრი არ ეკუთვნის მხოლოდ მანდ მომუშავე ადამიანებს და მარტო მათ კი არ შეტკივა გული, არამედ ეს უნდა აწუხებდეს ქალაქის მოსახლეობას, უნდა აწუხებდეთ, რომ ქალაქს არ აქვს შესაბამისი თეატრის შენობა. ასევე მაქვს შეკითხვა კულტურის სფეროში დასაქმებულ საჯარო მოხელეებთან, რატომ არ აქვთ პროტესტი, მათი კონცერტებიც ხომ ჩატარდებოდა თეატრის სცენაზე?! ბოლოს ვიტყვი, რომ იმდენად დიდია შენობის პრობლემა და იმდენად დიდ თანხებთანაა დაკავშირებული, არ მაქვს იმედი თეატრის პრობლემა მოგვარდეს "ქართუ" ფონდის გარეშე. მიმაჩნია და ვფიქრობ, რომ მონოლითი და შიდა კარკასის მდგომარეობა მყარია. ასევე მთლიანად უნდა გაიფცქვნას შენობა და უნდა შეიცვალოს შესაბამისი გარე ფასადით. ასევე კარგი იქნება, რომ სცენის სივრცეში ბრუნავი სცენა დამონტაჟდეს. ლიფტები და ლუქები 100% გამართული იყოს".

მსახიობი სანდრო გუჯაბიძეც ყველას მსგავსად აღნიშნავს, რომ „ყველა თანხმდებით, სამუშაოები მართლაც უხარისხოდაა შესრულებული. არ გვაქვს იმის ილუზია, რომ ახალი თეატრის მშენებლობა გადაწყდება და აუცილებლად აშენდება. უბრალოდ, მოვითხოვთ სამუშაოების დასრულებას ხარისხიანად, ეფექტურად და რაც შეიძლება მალე, ეს არის ჩვენი მოთხოვნა და სხვა არაფერი".

ინტერიერისა და ექსტერიერის დიზაინერი ლაშა კილასონია ამბობს, რომ შენობა საბოლოო ჯამში არამდგრადი იქნება და სავარაუდოდ, არარელევანტური დროში: „ჩემი აზრით, უნდა მოხდეს საფუძვლიანი რეკონსტრუქცია ავტორის ჩარევის გარეშე, რადგან ის მიკერძოებული იქნება და ნაკლებად შეიტანს ცვლილებებს პროექტში, ფუნდამენტური ცვლილება უნდა შეეხოს როგორც ინტერიერს, ექსტერიერსაც, უნდა მოხდეს ოთახისა და კუთხის შესწავლა, სად რა არის საჭირო და უსარგებლო. შესაბამისი კომისია უნდა შეიქმნას, სადაც მხოლოდ არქიტექტორები იქნებიან".

ჟურნალისტ ლირა კეკელიძის თქმით: „თეატრი მაყურებლის გარეშე იგივეა, რაც უჟანგბადო სივრცეში მყოფი ადამიანი. ფოთის თეატრს კი ნებისმიერ დროს ჰყავს ერთგული, გემოვნებიანი მაყურებელი. ხოლო მათთვის ქალაქის თეატრის გარეშე დატოვება ძალიან მნიშვნელოვანი საკითხია".

,,თეატრის შენობის პრობლემა, სამწუხაროდ, დიდი ხანია დგას. რამდენადაც ვიცი, თეატრის შენობის გარემონტებას აზრი არ აქვს, რადგან ბევრჯერ შესრულდა სარეაბილიტაციო სამუშაოები თუმცა არაფერი უშველა. ეს შენობა საერთოდ უნდა დაინგრეს და მის ადგილას აშენდეს ახალი. მართალია, ეს დიდ დროს მოითხოვს, მაგრამ რამდენიმე წლიანი ლოდინი ღირს იმისთვის, რომ ფოთის თეატრს ჰქონდეს ღირსეული შენობა. მომხრე ვარ, რომ თეატრს დროებითი თავშესაფარი გამოეყოს, ხოლო მანამდე კი თეატრის ახალი შენობა ქალაქის ცენტრში აშენდეს, აიგოს ისეთი ნაგებობა რომელიც ეკადრება ჩვენს არაჩვეულებრივ დასს, რომელიც გამორჩეულია არამარტო ჩვენს ქვეყანაში, არამედ მთელი რეგიონის მასშტაბით. ფოთელებს, რომლებსაც სულ გვანებივრებდა ჩვენი თეატრი არაჩვეულებრივი სპექტაკლებით, სიახლეებით და ფესტივალებით, ძალიან გვაკლია ეს სულიერი საზრდო. ვფიქრობ, თეატრი იმსახურებს და ვალდებულია ქალაქის მთავრობაც და ცენტრალური ხელისუფლება, რომ ქალაქის ცენტრში აიგოს ღირსეული შენობა. წარმატებებს ვუსურვებ ჩვენს თეატრს".- გვითხრა არტ გალერია 34 დამფუძნებელმა ია როგავამ.

იმედი დავიტოვოთ, რომ ქალაქს თეატრალური ცხოვრება უახლოეს მომავალში დაუბრუნდება და თეატრალებს ღირსეულ პირობებში მოუწევთ თამაში.

დადის თუ არა კოვიდი „მარშრუტკით„

ნანუკა ქაჯაია
ფოთი

წლების განმავლობაში მალთაყვის უბნის მოსახლეობისთვის სამარშრუტო ტაქსებით მგზავრობა დისკომფორტს უქმნის. საქმე იმაში მდგომარეობს, რომ სანამ სამარშრუტო ტაქსი არ გაივსება მგზავრებით, მანამდე არ გადის ქალაქის ცენტრიდან მალთაყვის მიმართულებით. შეწუხებული მგზავრები ხშირად გამოთქვამენ უკმაყოფილებას, რაც ზოგჯერ სამარშრუტო ტაქსის მძღოლთან კომნლიქტითაც მთავრდება. ამ თემას, გაზეთი „მთავარი თემა სამეგრელოში" არაერთხელ შეხებია და გაუშუქებია, თუმცა №20 მგზავრებისათვის რეალობა არ იცვლება, ამ პრობლემას არც პანდემიამ უშველა. იმ დროს როდესაც მსოფლიო ჯანდაცვა, ეპიდემიოლოგები თუ ჩვენი ქვეყნის ჯანდაცვის სამინისტრო პირბადის ტარებასა და დისტანციის დაცვას გვთხოვს უკვე ღია სივრცეშიც კი, მალთაყვის მიმართულებით მიმავალ სამარშრუტო ტაქსში პანდემიანდელი მდგომარეობა სუფევს ერთი გამონაკლისით - მგზავრებს პირბადე უკეთიათ. თუმცა იმდენად ახლოს დგანან ერთმანეთან, რომ პირბადეც კი კარგავს დანიშნულებას. ფოთის სატრანსპორტო განყოფილების უფროსის, გოდერძი შონიას თქმით, მას არ აქვს მიღებული ისეთი განკარგულება, რომელიც კრძალავს მიკროავტობუსში ფეხზე მდგომი მგზავრის დაშვებას და ისე გადაადგილებას, „ჩვენ არ მიგვიღია არანაირი რეგულაცია ან განკარგულება, რომელიც სამარშრუტო ტაქსში კრძალავს ფეხზე დგომას, როგორც ჩვენ, ისე საპატრულო პოლიცია აკონტროლებს სამარშრუტო ტაქსში პირბადის ტარებას. სამარშრუტო ტაქსს სადგურში დგომისათვის 12 წუთი აჰქვს დადგენილი, ე.ი. ყოველ 12 წუთში გადიან ადგილიდან პირბადის გარეშე მგზავრობა ჯარიმდება 20 ლარით, მგზავრის შემთხვევაში, ხოლო მძღოლი ჯარიმდება 50 ლარით. ამ ეტაპზე ველოდებით ბრძანებას, რომლის შემდეგ შეიძლება საერთოდ შევაჩეროთ ტრანსპორტის მოძრაობა მთელი ქალაქის მასშტაბით".

გაზეთი „მთავარი თემა სამეგრელოში" გაესაუბრა № 20 საქალაქო სამარშრუტო ტაქსის მგზავრებს. აღსანიშნავია მათი აღშფოთება და ადგილობრივ

ხელისუფლებას მოუწოდებენ, აღნიშნულ საკითხთან დაკავშირებით მიიღონ გარკვეული ზომები. სამარშრუტო ტაქსის შეჩერებაში კი გამოსავალს ვერ ხედავენ, რადგან ეს უფრო დაამძიმებს ისედაც არსებულ კრიზისულ მდგომარეობას. მგზავრთა ნაწილმა ვინაობის გამხელა არ ისურვა კომენტარების თქმისას:

„ხალხის ბრალია, ასე რომ ხდება, არ აპროტესტებენ. როგორც საჭიროა ისე და მძღოლები საკუთარ ჯიბეზე ფიქრობენ მხოლოდ. რაც უფრო მეტი მგზავრი ეყოლებათ, მით უფრო მეტ ფულს აიღებენ, ის კი არ ადარდებთ გაჭედილი სამარშრუტო ტაქსით რომ დადიან".

„ყოველთვის ასე ხდებოდა, რაც მახსოვს. სხვა ხაზის სამარშრუტო ტაქსები თუ დადიან ნორმალურად, ამ 20 ნომრებისთვის რატომ არის ეს მოუგვარებელი პრობლემა. ვითომ განსაზღვრული დროის მიხედვით მოძრაობენ, სინამდვილეში კი, სანამ იმდენი ხალხი არ ავა. დასადგომი ადგილიც რომ აღარ რჩება, ისე არ იძვრიან ადგილიდან".

მზია გვაძაბია: „მძღოლს რომ ეტყვი რამეს, აქით დაგიწყებს ჩხუბს, აბა ცარიელებმა რომ ვიაროთ, სახლში რა მივიტანოთო. მშვენივრად აკეთებენ ფულებს და წესებს უნდა იცავდნენ. როგორ შეიძლება სუნთქვის საშუალება არ იყოს სამარშრუტო ტაქსში, მით უმეტეს, ზოგს ფანჯრები საერთოდ არ ეღება".

ნინა კვეკვესკირი: „იცით, რა მაინტერესებს? ყველა რომ გაიძახის, დაიცავით დისტანციაო და ამ მძღოლებს მაინც რომ არ ესმით, სამარშრუტო ტაქსებში არ დადის ვითომ ეს პანდემია"?

გივი ჭეჟია: „მარშუტკის აკრძალვა გამოსავალი არ არის, რადგან ეს ისედაც გაჭირვებულ ხალხს კიდევ უფრო შეაწუხებს, გამოსავალი არის ის, რომ მარშუტკის მოცდის დრო შეამცირონ და არ დაუშვან ფეხზე დგომა. მაშინ მგზავრი მეტნაკლებად დაცული იქნება".

ყოფილი ჰიდრო ტექნიკუმის მეორე სიცოცხლე...

ნანუკა ქაჯაია
ფოთი

ფოთში 27 ოქტომბერს საზღვაო განათლება ოფიციალურად დაბრუნდა, გაიხსნა ბათუმის საზღვაო აკადემიის ფოთის ფილიალი,

სასწავლებელი პირველ ეტაპზე მსურველებს მაღალი ხარისხის გადამზადებისა და მოკლევადიან სასერტიფიკაციო კურსებს შესთავაზებს. 2021 წლიდან კი სასწავლებელი 1000 სტუდენტს მიიღებს. ამის შესახებ საზღვაო ტრანსპორტის სააგენტოს დირექტორმა, თამარ იოსელიანმა ფოთში, ბათუმის სახელმწიფო საზღვაო აკადემიის ფილიალის გახსნისას განაცხადა.

თამარ იოსელიანის განმარტებით, ინდუსტრიასთან აქტიური თანაშრომლობით მოხერხდა და საქართველოში პირველად, შესაძლებელი გახდა სრულად აღჭურვილი მეთევზე-მეზღვაურთა გადამზადების თანამედროვე სიმულატორის გახსნა.

„ასევე, დამატებით აღვჭურვეთ 10 სასწავლო ლაბორატორია, რომელიც ეტაპობრივად განვითარდება. ძალიან მახარებს ის ფაქტი, რომ ჩვენთან ერთად სასწავლებლის განვითარებასა და აღჭურვაში თავისი წვლილი შეიტანა საზღვაო ინდუსტრიის თითქმის ყველა სეგმენტის წარმომადგენლებმა. ფოთში სასწავლებლის გახსნა საზღვაო და ზოგადად ტრანსპორტის დარგის მიმართ ჩვენი გრძელვადიანი ხედვის ნაწილია, რომელიც პირველ რიგში გულისხმობს პროფესიონალი კადრების გადამზადებას და საზღვაო სექტორის სხვადასხვა პროფესიების წარმომადგენელთა რაოდენობის გაზრდას; რაც ავტომატურად გულისხმობს მაღალანაზღაურებადი სამუშაო ადგილების გაჩენას და რეგიონიდან პროფესიონალი კადრების გადინების შეჩერებას“, – განაცხადა თამარ იოსელიანმა.

კულტურულ მემკვიდრეობად წოდებული შენობები, რომლებიც დიდ როლს ასრულებდნენ ქალაქის საგანმანათლებლო და კულტურულ ცხოვრებაში, დანგრევის პირასაა. ერთ-ერთი ასეთი შენობა გახლავთ ყოფილი ჰიდრო–ტექნიკუმი. სამწუხაროა, რომ ახალგაზრდა თაობამ არ იცის სხვა და სხვა ისტორიის მატარებელი შენობების შესახებ. მართლაც მნიშვნელოვანია ასეთი შენობების მოვლა და შენაჩუნება.

იგი აშენდა გასული საუკუნის ოდაათიანი წლების ბოლოს ფოთელი მშენებლის ლაღიძის მიერ. ჰიდრო ტექნიკუმის შენობის ისტორია ჯერ კიდევ თბილისში დაიწყო. ის დღვანდელ მოსწავლე–ახალგაზრდობის სასახლეში იყო განთავსებული. როგორც გავარკვიეთ, ფოთში ანალოგიური ტექნიკუმის გაკეთება განაპირობა კოლხეთის დაბლობის ათვისების საჭიროებამ. იმ პერიოდისთვის ყოველ წლიურად 400–მდე მაღალკვალიფიციური სტუდენტი გამოდიოდა სამუშაო ასპარეზზე. უნდა ითქვას, რომ იქაური სწავლება არ შემოიფარგლებოდა მხოლოდ ჰიდრო ნაგებობებით, არამედ ზოგადი მშენებლობის პრაქტიკაც მიმდინარეობდა. გარკვეული დროის გასვლის შემდეგ ეს ბაზა გადაკეთდა ფოთის დამოუკიდებელ ინსტიტუტად, რომელმაც რაღაც პერიოდი შეინარჩუნა შენობა. 2005 წელს ფოთის დამოუკიდებელმა ინსტიტუტმა დაასრულა მოღვაწეობა, შენობა კი უპატრონოდ დარჩა, რამაც განაპირობა მისი ავარიულ მდგომარეობამდე მიყვანა.

ყოფილი ჰიდრო–ტექნიკუმის აღდგენითი სამუშაოების შესახებ ვესტუმრეთ ვიცე მერ კოტე თოფურიას, რომელმაც დაწვრილებით გვიამბო ამ შენობის შესახებ: „იდეა, რომ ეს შენობა აღდგენილიყო და მასში ისევ განთავსებულიყო სსწავლებელი დიიდ ხანია გაგვიჩნდა. 2018 წელს, როცა ალეკო მოწერელია გახდა ჩვენი კუთხის გუბერნატორი, მისი პირველი ინიციატივა იყო ამ შენობისთვის ფუნქციის მოძებნა. 2019 წლის 5 მაისს ბათუმის საზღვაო აკადემიასთან გაფორმდა მემორანდუმი, რაც იმას ნიშნავდა, რომ ფოთში განთავსდებოდა ბათუმის საზღვაო აკადემიის ფილიალი. ეს მართლაც დიდი გამარჯვება იყო ქალაქისთვის. ყველაზე დიდი წვლილი ამ საქმეში სწორედ ალეკო მოწერელიას ეკუთვნის. ეს ძალიან კარგი იდეაა. ქალაქში გაჩნდება ახალგაზრდული მუხტი, ეს არის დამატებითი შესაძლებლობა ერთდროულად 1000– მდე სტუდენტი მიიღოს ქალაქმა. ეს არის სწორედ ის თაობა, რომელიც ქალაქიდან გადის, ანუ 15–20 წლამდე ასაკი ახალგაზრდები. ჩვენ ხშირად გვესმის, რომ ფოთი არის „პენსიონერების ქალაქი“, ეს იმიტომ რომ აქ პერსპექტივა არ ჰქონდათ ახალგაზრდებს და მიდიოდნენ სხვა ქალაქებში. ეს პროექტი მთელი რეგიონისთვისაა გათვლილი. გარკვეული პერიოდის გასვლის შემდეგ სამეგრელოს სხვა რეგიონებიც შემოუერთდება“.

როგორც ქალაქის ვიცე მერმა გვითხრა, ქალაქმა შეისყიდა პროექტი, რაც 15000 ლარამდე დაჯდა. როგორც გავიგეთ აღნიშნული პროექტის განხორციელებაში ჩართულია მთელი სახელმწიფო, მაჟორიტარობის კანდიდატი ირაკლი ხახუბია, ასევე ყოფილი გუბერნატორი ალექსანდრე მოწერელია, პრემიერ მინისტრი და ბათუმის საზღვაო აკადემია. თაკო იოსელიანსაც დიდი როლი აქვს ამ საქმეში. სწორედ მათ მოიძიეს თანხები. დახლოებით 6 000 000–მდე იხარჯება მშენებლობაში, ინვენტარის შეძენაში კი დახლოებით 2 000 000. აქტიურად არიან ამ პროცესში ჩართული ბიზნესმენებიც.

კოტე თოფურია ხაზგასმით ამბობს, რომ ყოფილი ჰიდრო–ტექნიკუმის სასწავლებელი გამოირჩეოდა მაღალი მომზადების დონითა და კადრების კუთხით. სწორედ ამიტომ მნიშვნელოვანი იყო ამ შენობისთვის პროფილის შენარჩუნება. მისი თქმითვე, საზღვაო აკადემიის მთავარი პლიუსი არის ის, რომ საერთაშორისო აკრედიტაცია აქვს და შესაბამისი კვალიფიკაციაც ეკუთვნის. ასევე, კმაყოფილებას გამოთქვა იმის გამო, რომ ისეთმა ძლიერმა უწყებამ ჩაიბარა ის, როგორიც არის საზღვაო აკადემია. კოტე თოფურიამ როგორც აღნიშნა, საზღვაო აკადემიის სტუდენტები პრაქტიკებს გაივლიან სხვა და სხვა ქვეყნებში.

როგორც ჩვენთვისაა ცნობილი, ყოფილი ჰიდრო–ტექნიკუმის შენობა აკმაყოფილებს ყველა იმ მოთხოვნას, რომელიც აქვს საზღვაო აკადემიას. ასევე, გავარკვიეთ ისიც, რომ ქალაქის ცენტრალური პარკის კეთილმოწყობა, ყოფილი ჰიდრო–ტექნიკუმის შენობის გაცოცხლება, ორი პარალერული ქუჩისა და მათი შემაერთებელი ქუჩის კეთილმოწყობა კავშირშია ერთმანეთან. ამ ანსამბლის დასკვნითი ეტაპი კი იქნება საზღვაო აკადემიისთვის საერთო საცხოვრებლის მოწყობა.

„ჩვენ კიდევ ერთი ძეგლად წოდებული შენობა დავუბრუნეთ ქალაქს. ეს არის ყოფილი სამხედრო ჰასპიტალი. სწორედ იქ განთავსდება საზღვაო აკადემიის საერთო საცხოვრებელი. დახლოებით 2 ჰექტარზეა საუბარი. აღნიშნული ტერიტორია იყო თავდაცვის სამინისტროს ბალანსზე. ალეკო მოწერელიას ჩარევით დავიბრუნეთ ეს შენობაც. იქ განთავსდება ყველაფერი, რაც აკრედიტაციისთვისაა საჭირო - ბიბლიოთეკა, სააქტო დარბაზი, მოსასვენებელი ადგილი, სპორტული კომპლექტები და სხვა“.

2020 წლის ბოლოდან თებერვალ-მარტამდე ყოფილი ჰიდრო–ტექნიკუმის შენობაში იქნება ტრენინგ ცენტრი. მომავალი სასწავლო წლიდან კი დაიწყება სტუდენტების მიღება. როგორც კოტე თოფურია ვარაუდობს, დახლოებით 2–3 წელიწადში საზღვაო აკადემია გადაკეთდება უმაღლეს სასწავლებლად.

რაც შეეხება პროფესორ მასწავლებლებს, თოფურია მათ ფოთში წამოსვლას სწორ გადაწყვეტილებად მიიჩნევს, როგორც პროფესიის ასევე ბიზნესის კუთხით.

ფოთელები არჩევნების შესახებ...

2020 წლის საპარლამენტო არჩევნებამდე რამდენიმე დღე რჩება. გაზეთი „მთვარი თემა სამეგრელოში“ მოახლოებულ არჩევნებთან დაკავშირებით მოსახლეობას გაესაუბრა. არაერთგვაროვანი აღმოჩნდა მათი აზრი ამ თემასთან დაკავშირებით. არიან როგორც მთავრობის მომხრეები, ასევე მოწინააღმდეგეები. შევხვდით ისეთებს, რომლებსაც საბჭოთა პერიოდი ენატრებათ და ისეთებსაც, რომლებიც არც ერთ პარტიას არ უჭერენ მხარს, ისინი ფიქრობენ, რომ ახალი სახეები და ახალი ძალაა საჭირო ქვეყნის უკეთესი მომავლისათვის, ბევრმა უარი თქვა კომენტარზე, ვისი ჩაწერაც მოვახერხეთ უმრავლესობამ სახელისა და გვარის გამხელა არ ისურვა. უცვლელად გთავაზობთ ხალხის მოსაზრებას:

„არჩევნებზე აუცილებლად წავალ, პოლიტიკური პარტიების პროგრამებს ვეცნობი და „გირჩი“ მომწონს ყველაზე მეტად. უფრო ახალგაზრდები არიან იქ და ამიტომ ვანიჭებ უპირატესობას. ახალგაზრდები სჭირდება ქვეყანას“.

„ოცნების მხარდაჭერი ვარ და კმაყოფილი ვარ ჩვენი მთავრობის. მჯერა სამართლიანად მოიგებს „ქართული ოცნება“.

„არც წინა ხელისუფლება მომწონდა, არც ახლანდელი მომწონს, მაგრამ ქართველი ხალხი მეტის ღირსია ყველას რომ უკრავს ტაშს“.

„ჯერ არ ვიცი ვის მივცემ ხმას, მაგრამ ჩემი ხმა არ დაიკარგება. მომწონს, რომ ბევრი პარტიაა წარმოდგენილი, თუმცა არჩევანის გაკეთება მიჭირს“.

„მხარს ვუჭერ ნინო ბურჯანაძეს. ომისა და არეულობის გარეშე უნდა რუსეთან ურთიერთობის დალაგება. რუსეთის იმპერია იმხელაა, ყველას ეშინია მისი. ჩვენისთანა პატარა ქვეყანა არ უნდა მი დიოდეს მის წინააღმდეგ“.

„არავინაა ქვეყნის სათავეში ყოფნის ღირსი დღევანდელ ცხოვრებაში. ერთადერთი სტალინი იყო ხალხისათვის. ახლა რომ ცოცხალი იყოს, ყველას დახვრიტავდა“.

„ნაციონალებს ვაძლევ ხმას. არავის გაუკეთებია იმდენი, რამდენიც მათ. ვინ იცოდა საქართველო იქამდე. სიბნელიდან სინათლეში გამოგვიყვანა. მთელმა მსოფლიომ გაგვიცნო. ქალაქი ქალაქს დაემსგავსა, ქვეყანა ქვეყანას. წყალი, შუქი, გაზი სად იყო მიშამდე. გზები და კიდევ რამდენი რამ. მჯერა, უფრო მეტს გააკეთებენ“.

თეა მირცხულავა: „არჩევნებზე წასვლა ჯერ არ გადამიწყვეტია, რადგან ვერ ვხედავ ღირსეულ კანდიდატს, ვინც ცოტათი მაინც წაწევდა ფოთს წინ. ჩვენი სურვილით ხელისუფლებაში მხოლოდ პირველი პრეზიდენტ მოვიყვანეთ, დანარჩენი მთავრობა მხოლოდ იმიტომ, რომ არსებული მთავრობისათვის უარი გვეთქვა, ოღონდ შევარდნაძე წავიდეს და ვინც გინდა მოვიდესო, გავიძახოდით, იმდენად მომწიფებული იყო პოლიტიკური არენა ამისათვის, რომ ნებისმიერ გამოკვეთილ ლიდერს გაყვებოდა ხალხი, ამ შემთხვევაში იყო სააკაშვილი. უნდა აღინიშნოს ის, რომ სააკაშვილმა სახელმწიფო დაამსგავსა სახელმწიფოს, მაგრამ განდიდების მანიამ მალევე შეიპყრო. ახლა ხალხმა ოღონდ სააკაშვილი წავიდეს და ვინც გინდა მოვიდესო და ასპარეზზე ივანიშვილი გამოჩნდა. ივანიშვილმა კი მოიტანა სიმშვიდე, მაგრამ ხალხის ოცნება ვერ აახდინა. ახლა კვლავ გავიძახით იგივეს, მაგრამ ჩვენდა სამწუხაროდ ლიდერი, რომელსაც ხალხი გაყვება და ენდობა, ასპარეზზე ჯერჯერობით არ ჩანს“.

ანა ღვინჯილია: „არჩევნებზე რა თქმა უნდა წავალ, ვერ ვიტყვი, რომ ამ ხელისუფლების მოტრფიალე ვარ, მაგრამ არც ნაიონალური პარტიის დაბრუნების მომხრე ვარ, ამიტომ ჯერჯერობით ვფიქრობ, რომელი პარტია და მაჟორიტარი იმსახურებს ნდობას“.

„არჩევნებზე აუცილებლად წავალ და ქართულ ოცნებას ავირჩევ. მართალია, არც მაგათი მოტრფიალე ვარ, მაგრამ ცუდსა და უარესს შორის ცუდს ავირჩევ...

ესაუბრა ნანუკა ქაჯაია

2020 წლის 31 ოქტომბრის არჩევნები

ცესკო
საქართველოს საარჩევნო ადმინისტრაცია

ამომრჩეველთა საყურადღებოდ!

პანდემიის პირობებში კენჭისყრის პროცესი უსაფრთხოა. კენჭისყრის შენობაში გათვალისწინებულია ინფექციის გავრცელების ყველა პრევენციული ღონისძიება

კენჭისყრა იმართება 08:00 საათიდან 20:00 საათამდე

გაიარეთ მარკირების შემოწმების პროცედურა.

კენჭისყრის ოთახში შესვლამდე დაიმუშავეთ ხელები შესასვლელში განთავსებული ხელის სადეზინფექციო სითხით.

ნაკადის მომწესრიგებელ კომისიის წევრს წარუდგინეთ პირადობის მოწმობა ან საქართველოს მოქალაქის პასპორტი და დროებით მოიხსენით პირბადე იდენტიფიცირების მიზნებისთვის.

მარკირების შემოწმების პროცედურის გავლის შემდეგ რეგისტრატორს წარუდგინეთ პირადობის მოწმობა ან საქართველოს მოქალაქის პასპორტი და დროებით მოიხსენით პირბადე.

გაიკეთეთ მარკირება.

ამომრჩეველთა სიაში თქვენი გვარის გასწვრივ გააკეთეთ ხელმოწერა რეგისტრატორის მაგიდაზე განთავსებული ინდივიდუალური მოხმარებისთვის განკუთვნილი კალმისტრით. ამავე კალმისტრით ისარგებლეთ ფარული კენჭისყრის კაბინაში საარჩევნო ბიულეტენის/ბიულეტენების შევსებისას.

მიიღეთ რეგისტრატორისგან ბეჭდითა და ხელმოწერით დამოწმებული საარჩევნო ბიულეტენი/ბიულეტენები.

ფარული კენჭისყრის კაბინაში საარჩევნო ბიულეტენში/ბიულეტენებში შემოხაზეთ თქვენთვის სასურველი ერთი საარჩევნო სუბიექტის რიგითი ნომერი



კენჭისყრის კაბინიდან გამოსვლის შემდეგ აიღეთ სპეციალური კონვერტი და დაკეცილი საარჩევნო ბიულეტენი/ბიულეტენები მოათავსეთ მასში.

სპეციალური კონვერტი მოათავსეთ საარჩევნო ყუთში.

ხმის მიცემის პროცესში გამოყენებული ინდივიდუალური მოხმარებისთვის განკუთვნილი კალმისტარი დატოვეთ სპეციალურ კონტეინერში. კენჭისყრაში მონაწილეობის შემდეგ დატოვეთ კენჭისყრის შენობა.

კენჭისყრის შენობის დატოვებისას ისარგებლეთ გასასვლელში უზრუნველყოფილი ხელის სადეზინფექციო სითხით.

მნიშვნელოვანია იცოდეთ!

მცირედმხედველი პირებისთვის საარჩევნო უბნებზე განთავსებულია გამადიდებელი ლინზა

ყრუ, სმენადაქვეითებული, მხარდაჭერის მიმღები პირებისთვის კენჭისყრაში მონაწილეობის ამსახველი პოსტერი

უსინათლო პირებისთვის საარჩევნო ბიულეტენის შესავსები ჩარჩო/ფორმა

ეტლით მოსარგებლე პირებისთვის ადაპტირებულ/მისაწვდომ საარჩევნო უბნებზე ხმის მიცემის კაბინა

ყრუ და სმენადაქვეითებული პირებისთვის ცესკოს ვებგვერდზე რეგისტრაციის შემდეგ, მოქმედებს ვიდეო ზარის სერვისი

საინტერესო ფაქტები

ადამიანი საოცარი ქმნილებაა თუ ჩავუღრმავდებით მის არსს. ჩვენი სხეულის თითოეული უჯრედი თავისი ყოველი კომპონენტით სამყაროს განუყოფელი ნაწილია. იგი ერთადერთია, რომელიც ცხოველისგან გამოყოფილია თავისი არაჩვეულებრივი გონებრივი შესაძლებლობებით, მაგრამ ცოტა თქვენგანმა თუ გააცნობიერა ეს ყოველივე და სხვა დანარჩენი ფაქტებიც, რომელთა ცოდნის აუცილებლობის გამო გაგიზიარებთ რამოდენიმე მაგალითს:

1. ადამიანის ორგანიზმს გააჩნია 100-160 მილიარდი კაპილარი, რომელთაც თუ ერთ ხაზად განვალაგებთ, მივიღებთ 60-80 ათას კილომეტრ სიგრძისას, რაც დედამიწის ეკვატორის სიგრძეზე ორჯერ მეტია.

2,მსხვილ არტერიებს შეუძლიათ გაუძლონ წნევის 20 ატმოსფეროს.

3. ჯანმრთელი კბილის ემალი შეგვიძლია შევადაროთ კვარცს და ბასრი ხმალიც კი მასზე დარტყმით ბლაგვდება.

4.თავის ძლიერ დარტყმას, ნერვული სტრესის ფონზე ჭკუიდან შეშლას ახლავს ტვინის უჯრედების განსაზღვრული ნაწილის კვდომა, რომლებიც სამწუხაროდ აღარ აღდგება, აზროვნების ფუნქციას კი თავის თავზე ჯანმრთელი უჯრედები იღებენ. ადამიანის ტვინის უჯრედები 80% წყალს შეიცავს, ძვლები 25%-ს და კუნთები დაახლოებით 76%-ს.

5. დადგენილია, რომ ადამიანი სიცოცხლის მანძილზე მოიხმარს 2, 5 ტონა ცილას, 1, 3 ტონა ცხიმს, 17, 5 ტონა ნახშირწყლებს, და 75 ტონა წყალს.

6. ადამიანის სხეული 3 კგ-მდე მინერალურ მარილს შეიცავს, რომლის 5/6-ი ნაწილი ძვლებს უკავია. ზრდასრული ადამიანის ორგანიზმში მარილის რაოდენობა 300 გრამია.

7. ადამიანის ორგანიზმს შეუძლია გაუძლოს სითბოს 44-45, 5 გრადუსამდე, ერთეულ შემთხვევაში 45 გრადუსამდეც.

8. დღე-ღამის მანძილზე ადამიანი გამოყოფს იმდენ სითბოს, რამდენიც გაალღვობდა 33 ლიტრ წყლის სახით მისაღებ ყინულს.

9. 60 წლის ადამიანს თავისი ცხოვრების 20 წელიწადი ძილში აქვს გატარებული.

10. ერთ კვადრატულ სანტიმეტრზე კანის სიღრმეში 100 ნერვული დაბოლოვებაა, რომლითაც ტკივილს შევიგრძნობთ; ხოლო კანის ზედაპირზე კი დაახლოებით ერთი მილიონი.

11. თუ ჩავთვლით იმას, რომ ადამიანის ორგანიზმში ერითროციტების დალექვის რაოდენობა წუთში 100 ცალია, ყველა მათგანის დათვლას 450 ათასი წელი დაჭირდება. ლეიკოციტები, რომლებიც ძვლის ტვინში, ელენთასა და ლიმფურ ჯირკვლებში წარმოიშვა, ცოცხლობს მხოლოდ 4-5 წელი.

12. ადამიანის გულის წონა განისაზღვრება სხეულის წონის 1/200-ის მიხედვით. გულის კვებისთვის კი იხარჯება 1/20 ენერგია ყველა ენერგეტიკული რესურსიდან, რომლებსაც მოიხმარენ სხვა დანარჩენი ორგანოები, რის შემდეგაც გულის კუნთი 10-20 ჯერ უფრო ინტენსიური ხდება ვიდრე იყო.

13. არ არსებობს ადამიანის ორგანიზმი, რომელიც ცილებს არ შეიცავს. სისხლსა და კუნთებში მათი რაოდენობა 1/5-ია, ტვინში 1/12-ი, კბილის ემალში 1/100-ი. დანარჩენ ორგანოებში ცილის 45-85% გვხვდება მშრალი სახით. ჩვენი სხეულის ორგანოების ნახევარი ცილებს აღადგენს 180 დღის განმავლობაში, ხოლო ღვიძლი კი 17-20 დღეში.

14. ადამიანის თმა საპნის ბუშტუკებზე 5 000-ჯერ სქელია, 5-ჯერ სქელია კაპილარზე, 12-ჯერ სქელია ალვეოლის კედელზე და 20-ჯერ სქელია ობობის ქსელზე.

გაზეთის ხელმომწერთა საყურადღებოდ!

ერთი ნომრის ღირებულება
ორგანიზაციებისთვის
1 წლით - 50 ლარი
6 თვით - 25 ლარი
3 თვით - 12,50ლარი
კარდაკარის პრინციპით გაზეთის
გამოწერა მოქალაქეებისთვის
3 თვით - 6 ლარი

იკითხეთ გაზეთი მთავარი თემა სამეგრელოში

გაზეთი „მთავარი თემა სამეგრელოში" სამუშაოდ იწვევს სამეგრელოს რეგიონიდან ყველა ასაკის მქონე ადამიანებს გაზეთის გამავრცელებლად და სარეკლამო აგენტებად კანდიდატების შერჩევა მოხდება გასაუბრებით. მოგვმართეთ შემდეგ მისამართზე: ფოთი წმ. ნინოს ქუჩა 3/19 ტელეფონი: 599 34 14 17

გაზეთი „მთავარი თემა სამეგრელოში" სტაქირებაზე იწვევს სტუდენტებს, ახალგაზრდებს რომელთაც სურთ მიიღონ გამოცდილება ჟურნალისტიკაში წარმატებული სტაქიორები დასაქმდებიან გაზეთში. დაინტერესებულმა პირებმა მოგვმართეთ მისამართზე: ფოთი წმ. ნინოს ქუჩა 3/19 ტელ: 599 34 14 17

ისარგებლეთ გაზეთ "მთავარი თემა სამეგრელოში"შეღავათიანი მომსახურებით, განათავსეთ გაზეთში განცხადებები,რეკლამები, მილოცვები. ოჯახის სამგლოვიარო განცხადებები,მილოცვა- ჩვეულებრივი შრიფტით - ერთი ასო 5 თეთრი, სქელი შრიფტით - 7 თეთრი, პირველ გვერდზე - ორმაგი ფასი, სურათიანი განცხადებები: სამგლოვიარო - 15 ლარი,მილოცვა - 10 ლარი, არაპოლიტიკური რეკლამა: მესამე გვერდზე- მთლიანი გვ. (1000სმ2)-150 ლარი,ნახევარი (500 სმ2) - 75 ლარი;მეოთხედი (250სმ2)- 37.50 ლარი; მეხუთე გვერდზე: მთლიანი გვ. -130 ლარი; ნახევარი - 65 ლარი; მეოთხედი 32.50 ლარი. პირველ გვერდზე რეკლამა ხუთჯერ ძვირია, ვიდრე მესამე გვერდზე,ბოლოზე- სამჯერ ძვირი ვიდრე მესამე გვერდზე. პოლიტიკური რეკლამის ღირებულება ორმაგია. მრავალჯერად რეკლამებზე და ხელმომწერებზე გათვალისწინებულია ფასდაკლება. გაზეთის გამოწერის მსურველებმა მიმართეთ სამეგრელოს რეგიონალური გამოცემის ოფისს. ქ. ფოთი, წმ. ნინოს ქ.3/ 2 ტელ: 0(493) 22-40-50; 5(99) 34 14 17,

მთავარი თემა სამეგრელოში **თქვენი პრობლემების კვალდაკვალ**

(R) ნიშნით აღნიშნული სტატიები იბეჭდება რეკლამის უფლებით.